



# საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განგოგილებები

ნაშრომი მომზადდა  
და გამოქვეყნდა გაეროს განვითარების  
პროგრამის პროექტის - "გენდერი და პოლიტიკა",  
ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ  
გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - "გენდერი და პოლიტიკა",  
ოფის შემდეგ მისამართზე:  
თბილისი საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობა.  
რუსთაველის გამზ. 8, ოთახი 034; ტელ/ფაქსი:923662.  
[www.genderandpolitics.ge](http://www.genderandpolitics.ge)

The document was prepared  
and published within the framework of  
the UNDP project - "Gender and Politics"

For additional information refer to the office of the  
UNDP project "Gender and Politics" at the following address:  
Administrative building of the Parliament of Georgia,  
8 Rustaveli avenue, room 034, Tbilisi;  
tel./fax (99532) 923662;  
[www.genderandpolitics.ge](http://www.genderandpolitics.ge)

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერულ ასპექტებს, მასში განხილულია ანალიზის მეთოდოლოგია, საქართველოში ჯანდაცვის, განათლების, შრომის ბაზრის განვითარების გენდერული ტენდენციები და პრობლემები, ამ პრობლემების გადაჭრის ფინანსური გზები, როგორც ცენტრალურ, სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ნაშრომში ასახულია საერთაშორისო გამოცდილება და მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც ვფიქრობთ, დააინტერესებს როგორც სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე ცენტრალურ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ავტორები:

ჩარიტა ჯაში

მიხეილ თოქმაზიშვილი

რედაქტორი:

მიხეილ ჯიბუტი

---

ქვევსას გაწეული კონსულტაციებისათვის და გამოთქმული შენიშვნებისათვის ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უხდებიან გაეროს განვითარების პროგრამისა და შედეგთა საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის „გენდერი და პოლიტიკა“ კოორდინატორს, ქალბატონ ნინო ლაგვილაძეს და პროექტის ექსპერტს, ქალბატონ ირინა უვანიას.

---

# შინაარსი

წინასიტყვაობა	3
თავი 1. დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში	5
თავი 2. ჯანდაცვის რეფორმები და სახელმწიფო დაფინანსების გენდერული პრობლემები	12
2.1. ჯანდაცვის პრობლემები და რეფორმები	12
2.2. სახელმწიფო დაფინანსების პრობლემები	15
დასკვნები და რეკომენდაციები	17
თავი 3. სოციალური სფეროს გენდერული ასპექტები	20
3.1. საქართველოში სოციალური სფეროს განვითარება	20
3.2. სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა საქართველოში	22
3.3. სოციალურ სფეროში სახელმწიფო დაფინანსების პრობლემები	28
3.4. რეფორმები სოციალური დაცვისა და უმრუნველყოფის სფეროში	29
3.5. ოჯახის განვითარების პრობლემები	33
დასკვნები და რეკომენდაციები	37
თავი 4. გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე	40
4.1. შრომის ბაზრის გენდერული სტრუქტურა	40
4.2. სახელმწიფო სექტორში დასაქმების გენდერული პრობლემები	45
4.3. სახელმწიფო ინტერენციები უმუშევართა დასაქმებაში	48
დასკვნები და რეკომენდაციები	49
თავი 5. განათლების სფეროს გენდერული ასპექტები	54
5.1. განათლების სექტორის ზოგადი მიმოხილვა	54
5.2. საგანმანათლებლო სისტემის გენდერული პრობლემები	55
5.3. განათლების სფეროს სახელმწიფო დაფინანსება	59
დასკვნები და რეკომენდაციები	63
თავი 6. მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული პრობლემები	68
6.1. გენდერულად მგრძობიარე მუნიციპალური ბიუჯეტის თავისებურებები	68
6.1. მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გენდერული პრობლემები	69
დასკვნები და რეკომენდაციები	76
თავი 7. სახელმწიფოს ფინანსური სტრატეგია	79
7.1. საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების გენდერული ასპექტები	79
7.2. გენდერული ბიუჯეტის ფორმირების საერთაშორისო გამოცდილება	84
ბოლოსიტყვაობა	88
დანართი	90
ლიტერატურა	96



# წინასიტყვაობა

მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა გენდერული თანასწორობის საკითხი მეტად მწვავედ დააყენა დღის წესრიგში. საკმაოდ არ არის, რომ გენდერული თანასწორობა დემოკრატიული მშენებლობისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მმართველობის ყველა დონეზე გენდერული მიდგომა სოციალური სამართლიანობის, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველია. შინაანსური და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება და ამ პოლიტიკის გატარება კი კონკრეტული ნაბიჯია დასახული მიზნის მისაღწევად.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და შესაბამისად, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის უზრუნველყოფა მოითხოვს ხელისუფლების ყურადღების გამახვილებას გენდერული თანასწორობის პრობლემებზე და იმ მიმდებარე ორიენტაციას, რომელიც ათასწლეულის განვითარების დეკლარაციით არის აღიარებული. 2004 წელს საქართველომ აღიარა ათასწლეულის განვითარების მიზნები და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების გზით ცდილობს სოციალურად სამართლიანი საზოგადოების ფორმირებას.

2005 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „საქართველოს პრიორიტეტები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის“, რითაც ნათლად გამოკეთა ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ორიენტაციი, რომელიც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას გულისხმობს.

ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება და იმ ნორმების დაცვა, რომელიც დემოკრატიულ განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად არის საჭირო, მოითხოვს ქვეყნის მმართველობით სისტემაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობას, რომელიც დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი თანმდევი პროცესია.

საქართველოში, ბოლო წლებში სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, პარლამენტის მიერ მიღებული იქნა გენდერული თანასწორობის კონსტიტუცია, კანონები ოჯახური ძალადობისა და გრეფიკინგის წინააღმდეგ, ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად. ამჟამად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონპროექტზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში.<sup>1</sup>

მართალია, საქართველოში არსებობს დემოკრატიული და სოციალურად თანასწორი საზოგადოების ფორმირების პოლიტიკური ნება, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები ვერ უზრუნველყოფენ დემოკრატიული ფასეულობების რეალიზაციას. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობა კვლავ ნომინალურია და სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება ვერ ხერხდება.

<sup>1</sup> საქართველოს პარლიამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო არის ერთადერთი ინსტიტუტური მექანიზმი, რისიველიც ლობირებს გენდერულ საკითხებს და წინადადებას იძლევა აქტივობებზე, როგორცაა წინადადებებისა და რეკომენდაციების შესუქმნება სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის საკითხებზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თეატრისათვის, კანონმდებლობის დახვეწა და საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან პარსონიზაცია.

საქართველოში მიმდინარე რეფორმების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპი გაიზარდა, მაგრამ მას არ მოჰყოლია სიღარიბის მკვეთრი შემცირება. მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ზრდასა და სიღარიბის სტატისტიკურ მაჩვენებლებს შორის მკვეთრი განსხვავება მიუთითებს, რომ ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ მოასდინა ქმედითი ზეგავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე.<sup>2</sup> მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფიული ვითარება, გაიზარდა შრომითი მიგრაცია, გაღრმავდა გენდერული სეგრეგაცია შრომით ბაზარზე. ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ამ ეტაპზე სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დარჩა.

ეკონომიკური ზრდა, ინსტიტუციური მექანიზმების გააქტიურება, მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის გატარება სიღარიბისა და გენდერული უთანასწორობის შემცირების ძირითადი პირობაა. ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის განხორციელება გულსხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, რომელიც დიდ სოციალურ უკუგებას იძლევა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მამაკაცთა და ქალთა თანაბარ შესაძლებლობების რეალიზაციას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური სახსრების მობილიზაციას მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მოსამზადებლად, ქალებისათვის მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას, ქალთა და ბავშვთა სოციალური დაცვის რადიკალურ გარდაქმნას, ჯანმრთელობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, შრომის სტიმულირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური აქტიურობის წახალისებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს.

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამისა და შედეგთა განვითარების სააგენტოს ერთობლივი პროექტის კომპონენტია „გენდერული ბიუჯეტის ინიციატივა საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, განათლებისა და სოციალური სფეროს გენდერული ანალიზი და მომზადდა წინამდებარე ნაშრომი. ნაშრომის მიზანია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის სახელმწიფოს მართვის ყველა დონეზე გენდერული ასპექტების ინტეგრირება და საბიუჯეტო მოწყობაში გენდერული პასუხისმგებლობის გაზრდის მნიშვნელობაზე, ბიუჯეტის ანგარიშში გენდერული ასპექტების ასახვაზე ყურადღების გამახვილება.

ნაშრომი წარმოდგენილი ანალიზი არის გენდერული ასპექტების გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ფინანსური პოლიტიკის შეუასკების პირველი მცდელობა. ავტორები განიხილავენ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობასა და მის გავლენას მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, იმას, თუ რამდენად ეფექტიანად იმოქმედა ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მოსახლეობის, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების, შესაძლებლობების განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნში დასმულ პრობლემებს ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება მომავალში გარკვეულ ყურადღებას დაუთმობს, რათა ნათელი გახდეს, თუ სოციალური და გენდერული თანასწორობის რა საუფხურზე იმყოფება საქართველო, რამდენად უახლოდება იგი ათასწლეულის მიზნებს და რა არის საჭირო გამოკვლევითი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

ავტორები აცნობიერებენ იმ ვარემოებას, რომ წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილი ასპექტები შეიძლება სრულად არ იყოს გამოარჩეული დინამიკურად მხარეების მიერ, მაგრამ სიამოვნებით მიიღებენ კონსტრუქციული ხასიათის კრიტიკულ შენიშვნებს და იმედოვნებენ, რომ საქართველოში სახელმწიფო ფინანსების გენდერულ ასპექტებზე მსჯელობა, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ამ საკითხებთან დაკავშირებული დიალოგი ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ წინსვლას რეალური დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისაკენ.

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეკონსტრუქციის და რეფორმების სიღმა, (2008). ტაბლი, გვ. 4.

## დემოგრაფიული პრობლემები საქართველოში

საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის  
გაუარესებასთან ერთად გაიზარდა ქალის სოციალური  
ტერიტი და მიგრაციის ფემინიზაციის პროცესი გახდა ინტენსიური

საქართველოში დემოგრაფიულ განვითარების ნეგატიური ტენდენციები ელინდება. მისთვის დამახასიათებელია შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა, რომლის ლოგიკური შედეგია მოსახლეობის ბუნებრივი მაგების შემცირება. 1990-2008 წლებში საქართველოში მოსახლეობა შემცირდა 19.5 პროცენტით, მაშინ როდესაც 1975-1990<sup>3</sup> წლებში იზრდებოდა 11 პროცენტით. პარალელურად მოხდა მოსახლეობის დაბერება. ეს მოვლენები სერიოზულ საფრთხეს უქმნის თაობათა განახლებას, მძიმე ტერიტიად აწეება დასაქმებულ მოსახლეობას და ზრდის ქალის შრომის სიმძიმეს შინაშეურნეობებსა და ოჯახში.

### შობადობა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოსახლეობის ათას სულზე დაიბადა 40 ბავშვი, 1913 წელს დაიბადა – 28, 1960 წელს - 24, 1990 წელს – 17, ხოლო 2007 წელს კი – 11.2 ბავშვი. ჩვენს ქვეყანაში ყოველ 100 ქალზე 1960 წელს მოდიოდა 259 ბავშვი, ხოლო 2007 წელს – 173, მაშინ როდესაც მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია ეს მაჩვენებელი იყოს 210 ბავშვი.

ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი თითქმის 1.5 ჯერ დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით და საქართველოს არაქართული მოსახლეობის ჯერ კიდევ ოდნავი ბუნებრივი მაგება (ძირითადად ამერიკაიჯანელებისა და ქურთების) დემოგრაფიული ქვევით (შობადობის შედარებით მაღალი დონით) განისაზღვრება. შობადობის შემცირების მიზეზები მრავალგვარია. მას განსაზღვრავს როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები, რომლებიც აისახება ქალის ქვევებში და ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში.

შობადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ოჯახების განვითარებაში არსებული წინააღმდეგობები, მაგალითად, განქორწინებულნი, დაუქორწინებელი და მარტოხელა დედების რაოდენობის ზრდა. 2001 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა განქორწინებულთა რაოდენობა.<sup>4</sup> საკმაოდ დიდია არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი დედების რაოდენობაც, თუ 1990 წელს ასეთი დედები შეადგენდა 18 პროცენტს, 2003 წელს მან უკვე 45 პროცენტს მიაღწია.<sup>5</sup>

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოში სიღარიბე გახდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელმაც მოიყვანა მოსახლეობის დიდი ნაწილი. 2003 წელს საქართველოში მცხოვრები 5-დან 4 ადამიანის შემოსავალი არ აღემატებოდა 100 ლარს, დაახლოებით ნახევარს კი ქონდა შემოსავალი 50 ლარის ოდენობით.<sup>6</sup> შემ-

3 ისოლდო ბანკის მონაცემთა ბაზა: <http://devdata.worldbank.org/hnp/usa/query/default.html>

4 და კაცი საქართველოში, (2008). სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, სტატისტიკის დეპარტამენტი. იბ., გვ. 12.

5 Social tendencies in Georgia, (2004). Available at: <http://www.statistica.ge/publication.php?pfid=-99999&plang=2>  
რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობის შემცირება ნაწლობრივ განმარტებულთა ეკლესიური ქორწინების გაზრდით.

6 Social tendencies in Georgia, (2004). Available at: <http://www.statistica.ge/publication.php?pfid=-99999&plang=2>

დგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი მართალია შემცირდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დროებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ზრდამ სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემა კვლავ პრიორიტეტული გახადა. სიღარიბიდან თავის დაღწევის მიზნით ქალის დასაქმება გაიზარდა როგორც არაასევე შინამეურნეობებში და ოჯახში, რამაც შექმნა გენდერული დისპროპორცია, გაიზარდა ქალის აუნაზღაურებელი შრომის მნიშვნელობა და მასზე დაკისრებული საოჯახო გვირგვინი. ყოველივე ამან თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალის დემოგრაფიულ ქსევაზე.

## მოკვდაობა

საქართველოში შობადობასთან ერთად მოკვდაობის მაჩვენებელი გრადიციულად დაბალი იყო, როგორც უშუალო მემობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი საქართველოში, რომელიც გენდერული მდგომარეობის არსებითი მაჩვენებელია, დაახლოებით 5-ჯერ აღემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ღონეს.

ცხრილი 1

### ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა

	საქართველო	ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები	ევროკავშირი - 25
1950-1990	58.7	75.7	27.4
1990-2005	41.3	47.7	7.4

Source: Population Division of the Department of Economic and Social Affairs of the United Nations Secretariat, World Population Prospects: The 2004 Revision and World Urbanization Prospects: The 2003 Revision, <http://esa.un.org/unpp>

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში თითქმის 2-ჯერ შემცირდა და 2007 წელს მიაღწია 13.3-ს, თუმცა ეს მაჩვენებელიც თითქმის 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ქალის რეპროდუქციული უღლებების დაცვასა და ჯანმრთელობის ინფრასტრუქტურის მდგომარეობასთან.

## მოსახლეობის ბუნებრივი მატება

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რამდენადაც შობადობის ტემპი ეცემა, ხოლო მოკვდაობა მაგულობს (ან სტაბილურია), ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 2

### მოსახლეობის ბუნებრივი მატება

	საქართველო	ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები	ევროკავშირი - 25
1950-1990	1.09	1.93	0.61
1990-2005	-1.33	0.21	0.28

Source: Population Division of the Department of Economic and Social Affairs of the United Nations Secretariat, World Population Prospects: The 2004 Revision and World Urbanization Prospects: The 2003 Revision, <http://esa.un.org/unpp>

# მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება

საქართველოში სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი 70-იანი წლების შუახანებიდან დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნად ითვლება. 90-იან წლებში, მწვევე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია.

1989-2002 აღწერათა შორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 2.5 წლით გაიზარდა და ამჟამად 37 წელს აღემატება. საქართველოს მოსახლეობა უხვსია სამხრეთ კავკასიაში. ეკონომიკურად ეს კი იმას ნიშნავს, საშუალო ასაკის ყოველი ერთი წლით ზრდის პირობებში ერთის მხრივ, იზრდება შრომისუნარიანი ასაკიდან გასული მოსახლეობის შენახვის სოციალური გვირგვინი, ხოლო მეორეს მხრივ, კი სხვა თანაბარ პირობებში, იგი ამცირებს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების პოტენციალს 2.2 პროცენტით.

ყოველივე ამას ისევ უნდა დაეუმატოთ, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 20.0 პროცენტი – 60 წელს გადაცილებულია, მათგან 15.2 პროცენტი – 65 წელზე უხვსია, მაშინ როცა დაბერების ზღვრად ითვლება 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის 7 პროცენტი. 25 წელზე მცირე ასაკის კონტინგენტის წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მხოლოდ 9.6% ამდენად, დემოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველოში ამჟამად გამობატული მოსახლეობის დაბერება.<sup>7</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერტილური ასაკის ქალთა დაბერება. ასეთი კონტინგენტის მანდილოსანთა თითქმის ნახევარი 36 წელსაა გადაცილებული, რაც ურიალ უარყოფით გაულებას ახდენს შობადობის ინტენსივობაზე.

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას თან სდევს შრომისუნარიანთა (განსაკუთრებით, დასაქმებულთა) დემოგრაფიულ-ეკონომიკური დატვირთვის ზრდა. იზრდება საქართველოში ყოველი ათასი შრომისუნარიანის კმაყოფაზე მყოფი არაშრომისუნარიანი ადამიანების წილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმუშევრობის დონე სტაბილურად მაღალია, დემოგრაფიული დატვირთვა კიდევ უფრო მწვევე პრობლემა ხდება.

დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში კლებულობს შრომის ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წილი და, შესაბამისად, მატულობს შრომის ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წილი. მცირდება 16 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წილი, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობისა კი იზრდება.

ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად, სადაც ცხოვრების მძიმე პირობების გამო ხდება მოსახლეობის გადაადგილება ქალაქად. სოფლად ქალაქისაკენ მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობის) მიგრაციული პროცესი სხვა რეგიონებზე უფრო მეტად საქართველოს ჩრდილოეთის მაღალმთიანეთში იგრძნობა. შესაბამისად ამ რეგიონებში ძირითად მოსახლეობას ხანდაზმულები შეადგენენ. დემოგრაფიული დაბერებით გამოჩვეულ რეგიონებში მოკედაობა, ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, მკვეთრად მაღალია, არცთუ იშვიათად შობადობას აღემატება და იწვევს დემოკულაციას.

დაბერების პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულად მოქმედებს შრომის ბაზარზე და სოციალური დაცვის სისტემაზე, რამდენადაც იზრდება სოციალური ხარჯი, რომელიც მძიმე გვირგვინად აწევა დასაქმებულებს. დღეისთვის ყოველ 100 პენსიონერზე 75 დაქირავებით დასაქმებული მოდის, მაშინ როდესაც ოპტიმალური თანაფარდობა შეად-

7 გაეროს დემოგრაფიული კლასიფიკაციის მიხედვით მოსახლეობა ითვლება ახალგაზრდად, თუ მასში 65 წლის და მცირე ასაკის მოსახლეობა შეადგენს არა უმეტეს 4 პროცენტს. მოსახლეობა დაბერების სტადიაშია თუ ხანმოკლეობა რაოდენობა 4-7 პროცენტია და მოსახლეობა ითვლება დაბერებულად თუ ეს მაჩვენებელი 7 პროცენტზე მეტია.

გენს 100 პენსიონერს ყოველ 350-400 დაქირავეებით დასაქმებულზე.

თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ დასაქმებულთა შორის ნახევარზე მეტი ქალია, მაშინ დასაქმებული ქალის მიერ გადახდილ საშემოსავლო გადასახადს, რომლითაც ხდება საპენსიო ასაკის ადამიანებისთვის პენსიების ვაცემა, ემატება მათ მიერ ოჯახში გაღებული შრომაც ხანდაშულთა ზრუნვაზე, რაც ქალის ორმაგი დატვირთვის გამოყვანაა.

## მიგრაციული პროცესი

მოსახლეობის დაბერების საერთო ტენდენცია, სხვა გარემოებებთან ერთად, ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ბოლო წლებში გრძელდებოდა 1990-იანი წლებიდან დაწყებული ინტენსიური მიგრაცია, ძირითადად, ეკონომიკური გარემოებების გამო. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნიდან გასულთა 85 პროცენტი შრომისუნარიანი ასაკისაა, მაშინ როცა ამ ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 2/5-ს არ აღემატება.

აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებულ დრამატულობას სძენს ის გარემოება, რომ ბოლო წლებში იზრდება გენდერული უთანასწორობა. საქართველოდან გასულ ახალგაზრდებში უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები.

საქართველოში დემოგრაფიულ ეითარებას სხვა გარემოებებთან ერთად მნიშვნელოვნად ამძიძებს მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდების) გარემიგრაციული პროცესები. აღრიცხვიანობის სირთულეებთან დაკავშირებით სრულად არ არის დადგენილი იმ პირთა რიცხოვნობა, ეინც ვაეიდა საქართველოდან. სხეადასხეა ექსპერტული გაანგარიშებები უარყოფითია და იგი დაახლოებით ერთ მილიონს აღწევს, რაც საქართველოსნაირი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის საკმაოდ დიდი ციფრია.

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მიგრანტების საერთო რაოდენობაში (1 262 618 ადამიანი), 62,2 პროცენტი იყო ქალი, ხოლო ემიგრანტების საერთო რაოდენობაში კი – 41,3 პროცენტი იყო ქალი. ამასთან, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოდან გასულთაგან ყოველ 100 მამაკაცზე მოდის 67 ქალი. ეს პროპორცია მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში სულ უფრო მეტად იცელება ქალების სასარგებლოდ. ასე მაგალითად, თუ 40-44 წლის ასაკის ადამიანებში ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით გასულ ყოველ 100 მამაკაცზე მოდის 61 ქალი, 50-54 წლის ასაკის ადამიანებში – 69 ქალი, 60-64 - წლის ასაკის ადამიანებში – 90 ქალი, ხოლო 65 წელზე უხნეს მოსახლეობაში – 120 ქალი.<sup>8</sup>

უკანასკნელ წლებში საქართველოში შრომით მიგრანტთა შორის ქალთა წილის უპირატესი მრდა მნიშვნელოვანია. საერთოდ, ქალთა რაოდენობის მასიური მრდა საერთაშორისო შრომით მიგრაციაში გიპიური ტენდენციაა. ეკლეეებით დადასტურებულია, რომ მრდაეა ქვეყანაში შრომის ბაზრის სტრუქტურულმა ცეალებებმა განაპირობეს შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია: ქალი მარტოხელა, გატხოვილი, უმეტეს შემთხვევაში უკეთესი განათლებით, ვიდრე მამაკაცი, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით საზღვრებს გარეთ ცდილობს მოძებნოს სამუშაო.<sup>9</sup>

განათლებისა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე ქმნის ქალების არაფორმალურ სექტორში დასაქმების მოტივაციას. შრომის დანაწილების ტრადიციული გენდერული მოდეელი თანდათანობით იცელება. დასაქმებული ქალიც ისევე მონაწილეობს ოჯახის

<sup>8</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი II, გვ. 7; 147; 148-150.

<sup>9</sup> Selin, J., (2015). Georgia Looks West, But Faces Migration Challenges at Home, Migration Policy Institute, Georgia: The Tkabuli Region and Rural Migration, (2006).

ბიუჯეტის ფორმირებაში, როგორც მამაკაცი. ქალისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო უინანსური ფაქტორი, არამედ მორალურიც. ქალის საქმიანობა მხოლოდ ოჯახში არა-პრესტიჟული გახდა. არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალი თავს უფრო კომფორტულად და დამოუკიდებლად მიიჩნევს, ამიტომაც შესაძლებლობის შემთხვევაში ირჩევს ოჯახის გარეთ დასაქმებასაც.

სამუშაო და მაღალი შემოსავლების ოჯახებში ქალის საოჯახო საქმიანობა დაქირავებულმა სამუშაო ძალამ შეცვალა. განვითარებულ ქვეყნებში ქალთა უმრავლესობამ აუნაზღაურებელი საოჯახო შრომიდან გადაინაცვლა ანაზღაურებად სფეროში, ხოლო მათი ადგილი დაიკავა განვითარებადი ქვეყნიებიდან ჩასულმა შრომითმა მიგრანტებმა. მიუხედავად მათი გარკვეული კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმისა, ისინი დასაქმდნენ მომსახურების ინფრასტრუქტურის დაბალ საფეხურზე. მათი უმრავლესობა მოახლედ, მომგელად, დამხმარე მუშად, გამყიდველად და ოფიციანტად მუშაობს. სამხრეთ აზიისა და აღმოსავლეთ აზიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მთელი სამუშაოს ძალის 80 პროცენტი ქალია. იგი იაფი სამუშაო ძალაა. მათგან საკმაოდ დიდი ნაწილი შრომითი ემიგრანტია და ჩაბმულია გასართობ ინდუსტრიაში, უმეტესად პროსტიტუციაში.<sup>10</sup>

1990-იან წლებში საქართველოში ქალთა შრომითი მიგრაცია არ იყო დამახასიათებელი. გრადიციული, ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი იყო, რომ ქალს ოჯახი მიეგოებინა და სამოვარზე შორს წასულიყო. მაგრამ არსებულმა რეალობამ, ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, ცხოვრების დონის დაქვემდებარება განაპირობა ის, რომ შრომითი მიგრაცია გახდა საქართველოს მოსახლეობის უიმიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზა. მან დასაბამი მისცა ქალთა ფართო მონაწილეობას შრომით მიგრაციაში.<sup>11</sup>

საქართველოდან ქალთა ძირითადი ნაკადი გაედინება საბერძნეთში (24,3 პროცენტი) გერმანიაში (23,5 პროცენტი), აშშ-სა და რუსეთში (14,3 პროცენტი). ხშირ შემთხვევაში მას არალეგალური ხასიათი გააჩნია. გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალები დასაქმებულნი არიან მომსახურების სექტორში მომგელელებად (33,1 პროცენტი), აღმზრდელელებად (9,2 პროცენტი), ოფიციანტებად (4,8 პროცენტი), დამლაგებლებად (9,2 პროცენტი), გამყიდველებად (5,5 პროცენტი) და ა.შ.<sup>12</sup>

ქალთა შრომითი მიგრაცია გამოწვეულია ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახის განვითარებაზე. მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო უკირთ ოჯახიდან შორს ყოფნა. ხშირია შემთხვევა, როცა მცირეწლოვანი შვილების პატრონი მიგრანტი ქალები სხვის შეილებს ზრდიან, საკუთარი შვილები კი სამშობლოში ახლობლების აშარა ჰყავთ დატოვებული. იმათი წილი, ვისაც ქმარი და შვილები საქართველოში ჰყავთ, მთელ მიგრაციულ ნაკადში შეადგენს 27 პროცენტს, აქედან, შეილიანი კი 37 პროცენტი.<sup>13</sup>

ეკონომიკური თვალსაზრისით შრომითი რესურსების მასშტაბური გადინება საქართველოდან გამართლებულია იმით, რომ შრომითი მიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხები ბევრი ოჯახისათვის ყოველდღიურ სარჩო-საბადებელს წარმოადგენს. ფულადი გზავნილები საგარეო შემოდინებების მთავარი წყაროა და უდიდეს როლს ასრულებს სიღარიბის დაძლევაში. ფულადი გზავნილების რაოდენობა ყოველწლიურად

10 Becker G.S., (1960). A Theory of the allocation Time. The Economic Journal, Vol.80. Harvard, p. 15.  
11 2007 წელს მიგრაციის სერვანოროის ორგანიზაციის საქარაკელის ოფისის დაკვეთითა კვლევითი ექსპერტების მიერ შეასდა ქვეყანაში არსებული მიგრაციის მართვის პროცესები. მათ მიერ აღინიშნა, რომ საქართველოში ევროპერობით არ მისდინარობს შრომითი მიგრაციის მასშტაბური და კომპლექსური შესწავლა; კვლევისას არ არის გათვალისწინებული ცენტრული ისაქტებო; არ არის შექმნილი მიგრაციის მართვის ანტიგეყოონალური საკონსილდებლო ორგანო, რომელიც წარსიამენს ქვეყნის რეალურ მიგრაციულ სურათს. (ის. საქართველოში მიგრაციის მართვის მონიხლება, (2008). მუხსასტელი მისიის ანგარიში, IMO).  
12 შრომითი მიგრაცია საქართველოში, (2013). IMO, გვ. 414.  
13 შრომითი მიგრაცია საქართველოში, (2003). IMO, გვ. 414.

იზრდება, მარტო 2007 წელს მან 837 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 15-ჯერ აღემატება.<sup>14</sup>

ქალთა შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობის ზრდამ მნიშვნელოვნად შეცვალა ოჯახის სტრუქტურა და გენდერული ფუნქციები. ამასთან, გახშირდა ოჯახური ძალადობის შემთხვევები, შესუსტდა ახალგაზრდებსა და ბავშვებზე ოჯახის მორალური ზეგავლენა, გაურყელა ტრეფიკინგი, პროსტიტუცია და სხვა დანაშაულობები, სადაც ძალადობის მსხვერპლთა შორის ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ. თუ 2005 წელს რეგისტრირებული იყო ტრეფიკინგის 13 შემთხვევა, რომელთაგანაც 10 იყო ქალის მიმართ ჩადენილი, 2007 წელს რეგისტრირებული იყო 29 შემთხვევა, საიდანაც 14 იყო ქალის მიმართ ჩადენილი.<sup>15</sup> ტრეფიკინგის ზრდასთან ერთად გაიზარდა კაცების მიმართ ჩადენილი დანაშაულობების რაოდენობაც.

ქვეყნის გარეთ ქალები ძირითადად დაკავებული არიან არაფორმალურ სექტორში, სადაც არ არსებობს შრომითი უფლებების დაცვის ლეგალური მექანიზმი. ემიგრაციაში ქალების დიდი ნაწილი არალეგალურად მუშაობს. ამის გამო მათი უმრავლესობა წასვლის შემდეგ ველარ ბრუნდება სამშობლოში და ფაქტიურად მოწყვეტილი არიან ახლობლებს. ასეთი აღამიანები შეადგენენ ემიგრანტთა 57,3 პროცენტს.

განასაკუთრებით აღსანიშნავია ემიგრაციული პროცესებში ახალგაზრდობის აქტიურად ჩართვა. 2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ სტუდენტებს შორის ძალიან მაღალია მიგრაციული განწყობა. ემიგრაციის მიზემად ასახელებენ განათლების მიღებას (გამოკითხულთა 31,8 პროცენტი), უცხო ენების შესწავლას (15,4 პროცენტი), ასევე სამუშაოს პოვნის ნაკლებ პერსპექტიულობას სამშობლოში (8,8 პროცენტი), ხოლო მატერიალური პირობების გაუმჯობესებას ასახელებს გამოკითხულთა 41 პროცენტს.<sup>16</sup>

## დასკვნები და რეკომენდაციები

- საქართველოში დემოგრაფიული ტენდენციები არის ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ინდიკატორი და რეულექსურად ასახავს ჯანდაცვასა და სოციალურ ინფრასტრუქტურაში არსებულ მდგომარეობას.
- ~~საქართველოში დემოგრაფიული ტენდენციების შემცირების მიზნით, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში უნდა შემუშავდეს ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც გახდება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სამოვადოებაში გენდერული როლების თანაბარი გადანაწილებისათვის და უზრუნველყოფს სამოვადოების მზრუნველობას აღამიანის რესურსებზე, ქალის რეპროდუქციულ უნარზე, მათი უფლებების დაცვასა და კეთილდღეობას~~
- პრაქტიკულად დღეს საქართველოში დემოგრაფიული საკითხები სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იგნორირებულია. არ არსებობს გენდერული პროგრამები, სადაც ოჯახების დაგეგმა იქნება პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი.
- საქართველოში მიმდინარე ემიგრაციულმა მოვლენებმა აუცილებელი გახადა შრომითი მიგრანტებისა და დენილების საინფორმაციო ბანკის შექმნა, მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგიისა და რეგულირების კონკრეტული მექანიზმების შემუშავება, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფა.

14 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

15 ქალი და კაცი საქართველოში. (2008). გვ. 55.

16 ჭელიძე, ნ. (2008). საქართველოს უსაღესი სასწავლებლების სტუდენტთა სასწავლო შრომითი მიგრაციული განწყობა. ნაშრომის საერთაშორისო კონფერენცია, (რედ. ი. გუბაშვილი), თბილისში, საქართველო, იანვ. 98-103.



- დღეს ქვეყანაში არ არსებობს მოსახლეობის მიგრაციის კონცეფცია, რომელშიც აისახება მიგრაციული პროცესების მართვის ერთიანი სტრატეგიული ხედვა. სამწუხაროდ, მიგრაციის შესახებ ბოლო პერიოდის არსებული გამოკვლევები საერთოდ არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს. საჭიროა შრომის ბაზრისა და მიგრაციული პროცესების კომპლექსური გამოკვლევა.
- დღეს ქვეყანაში არ არსებობს მოსახლეობის მიგრაციის კონცეფცია, რომელშიც აისახება მიგრაციული პროცესების მართვის ერთიანი სტრატეგიული ხედვა. სამწუხაროდ, მიგრაციის შესახებ ბოლო პერიოდის არსებული გამოკვლევები საერთოდ არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს. საჭიროა შრომის ბაზრისა და მიგრაციული პროცესების კომპლექსური გამოკვლევა.

# ჯანდაცვის რეზორმები და სახელმწიფო დაფინანსების გენდერული პრობლემები

*ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყო სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ზრდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, ხოლო ჯანდაცვის სფეროში გაწეული სახელმწიფო დაფინანსება კი კვლავ დაბალია.*

## 2.1. ჯანდაცვის პრობლემები და რეზორმები ჯანდაცვის პრობლემები

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1991წ), ისევე როგორც სხვა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, ჯანდაცვის სისტემა მთლიანად ეფუძნებოდა სახელმწიფო დაფინანსების შოდელს. მოსახლეობას შეეძლო ესარგებლა მომსახურების ფართო სპექტრით, რამდენადაც საავადმყოფოების და პოლიკლინიკების მომსახურების ქსელს მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებდა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ეს სპექტრი იყო ხარჯიანი და დაბალხარისხიანი.

გარდაქმნის შედეგად მთლიანად შეიცვალა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა. 90-იანი წლების მეორე ნახევარში პოლიკლინიკების სახელმწიფო დაფინანსება მთლიანად გაუქმდა და ისინი ვადავიდნენ „ერმო დაფინანსებაზე. ეს ღონისძიება ნაწილობრივ შეეხო საავადმყოფოებსაც. მოსახლეობის ფართო ფენამ დაკარგა სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობები, რამდენადაც მათი შემოსაქვლები არ იყო საკმარისი სერიოზული სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ხოლო სამედიცინო დაწესებულებების შემოსულებობი კი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მათ გაეზარდათ თავიანთი მომსახურების ხარისხი. ამის შედეგად ჯანდაცვის სექტორში სერვისები და მათი ხელმისაწვდომობა გაუარესდა.

ამ პერიოდში ჯანდაცვის სისტემაში გამოვლინდა ორი უარყოფითი კანონზომიერება: სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მოსახლეობის დაბალი ჯანმრთელობის სტატუსი. დაბალი ჯანმრთელობის სტატუსის პრობლემა აისახა განსაკუთრებით უარყოფით ღემოგრაფიულ ტენდენციებში და ისეთ მოვლენებში, როგორიცაა მაგალითად, ჩვილ ბავშვთა და აგრეთვე ღებათა სიკედილიანობის მაღალი ღონე.

2005 წელს თუ ვეროკავშირის ქვეყნებში (27) ღებათა სიკედილიანობის მაჩვენებელი ყოველ 100 ათას დაბადებულზე შეადგენდა 18.1 ღებას, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მან შეადგინა 69.2, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და თურქმენეთში იგი 100-210-ს აღწევდა, ხოლო საქართველოში კი ყოველ 100 ათას დაბადებულზე იღუპებოდა 66 ღება.<sup>17</sup>

საქართველოში მაღალი დარჩა როგორც ჩანასახოვან მღვომარეობაში მყოფი ბავშვთა სიკედილიანობა, ასევე ახალდაბადებულთა სიკედილიანობაც. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ჩანასახოვან მღვომარეობაში ბავშვთა სიკედილიანობა

17 მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა: <http://www.who.int/whosis/en>; <http://www.who.int/whosis/whosisat/1.xls>; <http://www.who.int/whosis/whostat/2008/en/index.html>. სტატისტიკის სახელმწიფო ლეპორაგამენტის მონაცემებით, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 2-ის ტოლი იყო. (ქალი და კაცი საქართველოში, (2008). გვ. 11).

საქართველოში 2.5 ჯერ მეტია და ახალდაბადებულების სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 1.5 ჯერ მეტია საერთო ევროპულ მაჩვენებლებზე.<sup>18</sup>

საქართველოში მაღალია გუბერკულიოზით დაავადებულთა რაოდენობაც. 2007 წელს საქართველოში ყოველ 100 ათასს კაცზე მოდიოდა 102 დაავადებული. აქედან 75 პროცენტი მოდის მამაკაცებზე.<sup>19</sup> ეს მაჩვენებელიც ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებელს თითქმის 2 ჯერ აღემატება.<sup>20</sup>

გუბერკულიოზით ვარდაცვლილთა შორის მამაკაცთა მაღალი წილი ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ისინი სიგარეტის მწვეველთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში მოზარდი მამაკაცების 60 პროცენტი და ქალების 15 პროცენტი არის მწვეელი, მაშინ როდესაც ევროპულ ქვეყნებში მწვეელი კაცების რაოდენობა შედარებით ნაკლებია, მაგრამ მაღალია მწვეელი ქალის რაოდენობა. მაგალითად, საურანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში და სხვ. მწვეელი მოზარდი ქალების და კაცების რაოდენობაც 30 პროცენტს აღემატება.<sup>21</sup>

ამასთან, ამ ავადმყოფობათა ძირითად მიზეზებს შორის არსებითია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა ორსულობისა და ბავშვის დაბადების შემდგომ პერიოდში, ინფექციები, აგრეთვე რთული სამუშაო პირობები ფეხმძიმობის პერიოდში.

დედათა სიკვდილიანობის მიზეზებს შორის უნდა აღინიშნოს არასაკმარისად განვითარებული ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, რომელიც ეერ უზრუნველყოფდა მშობიარობის და მის ადრეულ პერიოდში დედების გამოვლევასა და მათზე მზრუნველობას. ამასთან არალეგალურად აბორტების გაკეთების პრაქტიკა კიდევ უფრო მეტად მრდის დედათა სიკვდილიანობას. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის.

როგორც კვლევები ადასტურებენ, ფეხმძიმობის ადრეულ სტადიაზე მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს დედებისა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობას.<sup>22</sup> ჯანდაცვის სუსტი ინფრასტრუქტურა და საყოველთაოდ გავრცელებულ დაბალ მომსახურების ხარისხთან ერთად არასაკმარისად განვითარებული სადამბლევო ბაზარი ხელს უშლიდა ადრეულ სტადიაზე ავადმყოფობის პრევენციას, ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

2004 წელს ათასწლეულის დეკლარაციის აღიარებით საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებად იქნა მიჩნეული მისი მიზნები, რომელთა შორის არის 2015 წლამდე დედათა სიკვდილიანობის შემცირება 75 პროცენტით, რაც საქართველოსათვის ნიშნავს ჯანდაცვის სისტემის გარდაქმნას განსაკუთრებით პროფილაქტიკური მიზნებისათვის.

18 მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა: <http://www.who.int/whosis/whostat/1.xls> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემთა, ეს სახელმწიფო თიქსის 2 ჯერ ნაკლებია. ქალი და კაცი საქართველოში, (2008). გვ. 11.

19 ქალი და კაცი საქართველოში, (2008). გვ. 17.

20 მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა: [http://www3.who.int/whosis/core/core\\_select\\_process.cfm?countries=all&indicator=nhf](http://www3.who.int/whosis/core/core_select_process.cfm?countries=all&indicator=nhf).

21 The Tobacco Atlas. Available from: <http://www.who.int/tobacco/en/atlas40.pdf>

22 Nolte, E., McKee M., Gilmore A. Reproductive Health in Transition Countries in the European Context. From the European Centre on Health of Societies in Transition, pp.2-3.

# უსაფრთხოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის პოლიტიკა

ეს პოლიტიკა გულისხმობს ჯანსაღი კეების, სანიტარული მდგომარეობის, წყლის, გარემოს გაუმჯობესებას, რომელიც შესაძლებელია განსორციელდეს სხვადასხვა პროგრამების გზით. ამის გარდა, იგი გულისხმობს სპორტული, ენერგეტიკული და სხვა დახმარებების პროგრამების არსებობას, რომლებიც სარგებლობას მოუტანს ყველას, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ქალების განათლებამ და ისეორმირების საკითხმა ჯანდაცვის პროფილაქტიკისა და ჯანსაღი კეების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რადგან ქალები არიან მრუნვის ეკონომიკაში, ოჯახის უსაფრთხო განვითარებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გარანტი. ეს ყველაფერი კი უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის არასახარბიელო დემოგრაფიული განვითარების პროცესზე. ამასთან დაკავშირებით, ღლის წესრიგში დგება სოციალური და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი, იმ ინსტიტუტების ამოქმედების აუცილებლობა, რომელიც სხვადასხვა მიზნების გამო საქართველოში გაუქმდა და ღლეს აღარ შექნციონირებენ.<sup>23</sup>

## ჯანდაცვის რეფორმები

2007 წელს საქართველოში დაიწყო პოსტიკალური სექტორის ეროვნული პროგრამა - „100 ახალი საავადმყოფო“ მშენებლობა. რეფორმის მიზანი იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა საავადმყოფოს პრივატიზაცია, ჯანდაცვის სამსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ჯანდაცვის შენეჯმენისა და ადმინისტრაციის რესტრუქტურისა და ჯანდაცვის სფეროს ფინანსირების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება. იგი ითვალისწინებდა სპეციალიზირებული საავადმყოფოებიდან კომპლექსურ ჯანდაცვის დაწესებულებებზე გადასვლას.

გათვალისწინებულია ჯანდაცვის ინდუსტრია მთლიანად გადავიდეს კერძო სექტორში, გაიზარდოს კონკურენცია, ჯანდაცვის სამსახურების ხარისხი და მოსახლეობისათვის არჩევანის შესაძლებლობები. პარალელურად მოქალაქეები მიიღებენ უნივერსალური პირველადი დახმარების პაკეტს; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის გათვალისწინებულია დამატებითი სამედიცინო დაზღვევა.

## რეფორმის საფრთხეები

რეფორმის ერთ-ერთი მოთხოვნაა პრივატიზების შედეგად ახალმა დაწესებულებებმა, როგორც საავადმყოფოებმა, შეინარჩუნონ პროფილი ხელმეკრულების დადებიდან შეიდი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ინვესტორებს უფლება ექნებათ გამოიყენონ ყოფილი სახელმწიფო ქონება ნებისმიერი სხვა მიზნით. ასეთი პირობა კი ქმნის იმის საფრთხეს, რომ იგი გამოიწვევს ზოგიერთი არამომგებიანი მომსახურების გაუქმებას და მონოპოლიური მომსახურების შექმნას სამედიცინო ბაზარზე. ჯანდაცვის მომსახურება მთლიანად გადადის ბაზრის რეგულირების ქვეშ. ცნობილია, რომ ბაზარზე კონკურენცია წარმოშობს მონოპოლიებს. ეს განსაკუთრებით მართებულია ჯანდაცვის სექტორისთვის, სადაც კონკურენცია მეზღუდულია. ამ ერთობაში შეიძლება განსაზღვრობოს ჯანდაცვის მომსახურების გაძვირება, რაც გვირთად დააწევბა ოჯახებს და განსაკუთრებით კი - ქალებს. იგი გააძვირებს ხანშიმესულ ადამიანთა და პენსიონერთა მკურნალობას.

მთელი სამედიცინო მომსახურების კერძო სექტორში გადატანა მნიშვნელოვნად იმ

<sup>23</sup> მატელოად, კეების პრილაქტებს ესაფროხოების უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა.

ოქმედებს მომსახურების ფახებზე, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ეს სექტორი არ იქნება ხელმისაწვდომი.  
შესაბამისად, ამ საფრთხეებიდან გამომდინარე:

- თუ სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათ დაზღვევას ან ოჯახები ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად შეიძინონ სამედიცინო დაზღვევის პოლისი, ისინი დარჩებიან პირველადი სამედიცინო დახმარების გარეშე, ეს კი ადამიანებს აიძულებს მიმართონ თვითმკურნალობას, რაც ხშირად იწვევს ავადმყოფობის კიდევ უფრო დამძიმებას.<sup>24</sup>
- თუ ახალი ინფრასტრუქტურა ვერ შეინარჩუნებს ჯანდაცვის ფუნქციას და მთელი რიგი არამომგებიანი საქმიანობა ამოუვარდება სერვისიდან, ამ შემთხვევაში მოსახლეობისათვის ჯანდაცვის მომსახურების გაწევა შეიზღუდება.

ჯანდაცვის რეფორმების ძირითადი ღერძი არის ის, რომ მომსახურების სფეროს კერძო სექტორში გადაგანის პარალელურად სადაზღვევო ბაზრის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის პირველადი და აუცილებელი სამედიცინო მომსახურება. ყოველივე ეს კი მოითხოვს კერძო დაზღვევასთან ერთად სახელმწიფოს მონაწილეობის მრდას სადაზღვევო ბაზარზე, რაც საბიუჯეტო დაფინანსების რეფორმასთან ერთად სახელმწიფო ფინანსების როლის გამზრდასაც გულისხმობს.

## 2.2. სახელმწიფო დაფინანსების პრობლემატიკა

ჯანდაცვის სფეროს განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც გენდერული და სოციალურ თანასწორობის მიღწევის, ასევე სიღარიბის შემცირების თვალსაზრისითაც.

წლების განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დაბანდებული ინვესტიციები მშპ-სთან მიმართებაში დაბალი იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით.<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსებული იყო ისეთი გენდერული პროგრამები, როგორიცაა უსაფრთხო დედობის, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ინჟექციური და სოციალურად საშიში დაავადების პროფილაქტიკური პროგრამები, ქალთა მაღალი რისკის მაგარებელი ონკოლოგიური დაავადებები, გუბერკულიოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები, სუბსიდირების არსებული დონე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებულიყო.

ჯანდაცვის სისტემის რეფორმები წარიმართებოდა იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს დაფინანსების გვირგვინი შემსუბუქებულიყო. შეიქმნა პარალოქსული სიტუაცია: კერძო დაფინანსების მრდასთან ერთად სახელმწიფო დაფინანსების წილი მკვეთრად შემცირდა.<sup>26</sup> უკვე 2005 წელს საქართველოში კერძო დაფინანსების წილი ჯანდაცვის სექტორის მთლიან ხარჯებში 80 პროცენტზე მეტი იყო, მაშინ როდესაც ინგლისში 1998 წელს იგი შეადგენდა 19 პროცენტს და 2004 წელს კი - 13.7 პროცენტს. ევროკავშირის ქვეყნებში კერძო დაფინანსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საბერძნეთს ეკუთვნის - 47.2 პროცენტს.<sup>27</sup> ამდენად, საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარჯები ძირითადად ოჯახებს დააწვა გვირგვინი.

24 ასი იხილი საავტორო. Available at: [http://www.transparency.org/files/215\\_275\\_122279\\_One%20fund%20New%20fospim%20for%20Georgia-%20G.pdf](http://www.transparency.org/files/215_275_122279_One%20fund%20New%20fospim%20for%20Georgia-%20G.pdf)

25 ისოვლის ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა: [http://www.who.int/whosis/database/core/core\\_select\\_process.cfm](http://www.who.int/whosis/database/core/core_select_process.cfm)

26 Making Transition for Everyone: Poverty and Inequality in Europe and Central Asia, (2000). World Bank, Oxford University Press, Oxford, p 8

27 ისოვლის ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა: [http://www.who.int/whosis/database/core/core\\_select\\_process.cfm](http://www.who.int/whosis/database/core/core_select_process.cfm)

კერძო და სახელმწიფო დანახარჯი ჯანდაცვაზე

	მთლიანი დანახარჯი ჯანდაცვაზე (მპპ-ს %)		მთავრობის ხარჯი ჯანდაცვაზე (ჯანდაცვაზე მთლიანი ხარჯის %)		კერძო დანახარჯი ჯანდაცვაზე (ჯანდაცვაზე მთლიანი ხარჯის %)		მთავრობის ხარჯი ჯანდაცვაზე (მთავრობის მთლიანი დანახარჯების %)		დანახარჯი სოციალურ (სამედიცინო) დაზღვევაზე (ჯანდაცვაზე მთავრობის დანახარჯების %)	

წყარო: მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა: <http://www.who.int/whosis/whostat/4.xls>

დღესდღეობით ევროკავშირის ქვეყნებში ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო დაფინანსების შრდასთან ერთად კერძო დაფინანსების წილი მცირდება.

2000 წელს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვის სფეროში შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 4 პროცენტს, ჩრდილოეთ აფრიკაში და ლათინურ ამერიკის ქვეყნებში საშუალოდ 2 პროცენტზე მეტი იყო, ხოლო საშუალო შემოსავლებისა და მაღალი შემოსავლების მქონე განვითარებულ ქვეყნებში კი - 4-6 პროცენტი იყო.<sup>28</sup> ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში (ნორვეგია, გერმანია, შვედეთი, პოლანდია, საურანგეთი, დანია) ეს მაჩვენებელი 8 პროცენტს აღემატებოდა.<sup>29</sup> მთლიანად ევროკავშირის 15 ქვეყანაში მთლიანი დანახარჯი (სახელმწიფო და კერძო) ჯანდაცვაში 2006 წელს შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 6.3 პროცენტს, ხოლო კერძო დაფინანსების წილი კი - 2.2 პროცენტს, მაშინ როდესაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ყველა ერთად აღებული ეს წილი თანაბრად ნაწილდებოდა - 2,4 პროცენტი.<sup>30</sup>

28 Human Development report, (2000). UNDP. Available at: <http://www.undp.org/gc/nhdr2000/chpt3.htm>.  
 29 ევროსტატის მონაცემთა ბაზა. Available at: <http://cpp.eurostat.cec.eu.int/portal>.  
 30 Human Development report, (2006). UNDP. Available at: <http://hdr.undp.org/status/data/indicators.cfm?x=52&y=1&z=1>

დღეს საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის მაჩვენებლებს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ჯანდაცვაზე 2006-2007 წლებში შეადგენდა მშპ-ს 2.1-2.3 პროცენტს, სიღირსი 2008 წლისათვის კი მისი აბსოლუტურ მაჩვენებლებში შემცირების შედეგად საყარაულოდ მშპ-ის 1,7-1,9 პროცენტია.

ცნობილია, რომ რაც უფრო დაბალია სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე, მით უფრო მაღალია შინამეურნეობების დანახარჯები და კერძოდ, ქალის აუნაზღაურებელი პრობლემის წილი ოჯახის წევრების მოვლა-პატრონობაში. სახელმწიფო დანახარჯების შემცირება ჯანდაცვაზე უკუპროპორციულ დამოკიდებულებას იქცევს ოჯახში ქალის გვირგვინის მრდაზე, მის მიერ მგრუნელობითი ფუნქციის განხორციელებაზე. საქართველოში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების წილი კი, ყოველივე ამასთან, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის მაჩვენებლებს და ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## დასკვნები და რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია ჯანდაცვის ხარჯები მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში საშუალოდანიან პერსპექტივაში გაიზარდოს 3-4 პროცენტამდე, რაც შესაძლებლობას მისცემს მთავრობას ორიენტაცია აიღოს ევროკავშირის მაჩვენებლებზე და გაზარდოს ამ სუეროს წილი მთლიან შიდა პროდუქტში.
- მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემების განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ღარიბი ოჯახების ხელმისაწვდომობის გაზრდას პრევენციული ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.
- ოჯახის დაგეგმვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ოჯახის დაგეგმვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პაციენტებზე ორიენტირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება, ექიმებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის პროფესიული გადამზადება, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის საინფორმაციო პროგრამების განხორციელება.
- მიზანშეწონილია სოციალური მარკეტინგის ფართოდ დანერგვა საზოგადოებაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის, ოჯახის დაგეგმარებისა და სხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

### გენდერულად ორიენტირებული სოციალური მარკეტინგი

კეთილდღეობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მსოფლიო საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი პრობლემაა. რადიკალურ ცვლილებებს განიცდის სოციალური გარემო. ბუნების დაცვა, უსაფრთხო ცხოვრება, ოჯახის დაგეგმა, ჯანმრთელობის უსაფრთხოება, სიღარიბე და სხვა სოციალური მოვლენები გენდერულად მგრძობიარეა. მათი ზემოქმედების არეალი ქალზე და მამაკაცზე განსხვავებულია. გენდერული იდენტურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე. ახალი სოციალური პროდუქტი განიხილება როგორც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. სოციალური მარკეტინგის კომპონენტებია.

- ახალი, სასურველი ქეევის დანერგვა. მაგალითად, ჯანმრთელობის პრევენცია, ბრძოლა ბუნების დაუცვისათვის, ინფორმაცია და ცოდნა შიდსის შესახებ და სხვ;
- ძველი, არარაციონალური ქეეების უარყოფა. მაგნე ჩეეები-სათვის (ნარკოტიკების მოხმარება, თამბაქოს მოწევა, ქარბი ტკბილეულის მიღება, მობილური ტელეფონით საუბარი მანქანის მართვისას) თავის დანებება;
- ქეეების მოდიფიცირება (ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვა, უსაფრთხოების ლელების გამოყენება მანქანით მგზავრობის დროს).

სოციალური მარკეტინგის თეორია და პრაქტიკა უარყოფითად გამოიყენება აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ მელანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში. სოციალური მარკეტინგის სტრატეგიის მთავრობა იყენებს ჯანმრთელობისა და სხედასახე სოციალური პრობლემის გადაწყვეტილებას. სოციალური პრობლემის გადაჭრა საზოგადოების ყველა წევრის პასუხისმგებლობაა. ინდივიდუალური მომხმარებლები, საკანონმდებლო და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, კერძო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრაში. მაგალითად, 80-იან წლებში ინგლისში პოპულარული იყო სოციალური კამპანია სახელწოდებით: "ჯანმრთელობის პრობლემა ინგლისში - შემდეგი ნაბიჯები ჯანმრთელობის ალტერნატივისთვის"<sup>31</sup>. იგი მიზნად ისახედა მოსახლეობის ქეევის შეცვლას ჯანმრთელი ცხოვრების წესით, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის ჯანმრთელობისათვის პრევენციას.

დიდ ბრიტანეთში ეროვნული სოციალური მარკეტინგის ცენტრი ჩართულია გრანდიოზულ კამპანიაში ჯანმრთელობის დაუცვის პრობლემებზე. კამპანიის დევიზია: "ბიზნესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე და მათ კეთილდღეობაზე".

ბრიტანეთის სოციალური მარკეტინგული ცენტრის დირექტორი, პროფესორი ჯეფ ფრენჩი მიიჩნევს, რომ მშრომელთა კეთილდღეობასა და კომპანიის წარმატებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. დასაქმებულთა აუდიტორიუმის მიზნით წელიწადში 175 მილიონი სამუშაო დღე ედება, რაც იწვევს კომპანიებისათვის 187 მილიონი ფუნტი სტერლინგის დანაკარგს. სოციალური მარკეტინგის ცენტრი რეკომენდაციას აძლევს დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და კერძო კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ ჯანმრთელობის პრევენციულ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ზრდას.<sup>32</sup>

საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები ფილიპ კოტლერი და ნენსი ლი პროპაგანდას უწევენ ახალ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მიმწოდებლის რეკლამის - სილარიბის მღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის - დახმარებას. სილარიბის სოციალური მარკეტინგული პროგრამის შემუშავება გენდერული პარამეტრებით ხელს უწყობს ქალთა ჯან-

31 Lefebvre C. & Poria J., (1988). Social Marketing and Public Health Intervention, Health Education quarterly. 15: 299-315.

32 <http://www.socialmarketingquarterly.com/flip>



მრთელობისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფას. ამ შემთხვევაში სამოგადოებრივი სარგებლიანობა მრავალწახნაგოვანია და მოიცავს მრუნევას ერის გენერაციებზე, შრომის ძალის ეფექტიანად გამოყენებაზე და სამოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

სოციალური მარკეტინგული საქმიანობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გარემოს დაცვა მაგნე ზემოქმედებისაგან. ყველა ქვეყანაში მოქმედებს გარემოს დაცვითი ნორმები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არეგულირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას. აგრობიზნესში მომუშავე მარკეტინგული ჟირმები ცდილობენ აგრო-სექტორის პოტენციალის გაძლიერებას, მოსაულის მოცულობის ზრდასა და ადგილობრივი პროდუქტის კონსერვაციაში მონაწილეობის ამაღლებას. მთლიანი მარკეტინგული სტრატეგია მიმართულია რეალიზაციისა და შემოსავლების მოცულობის ზრდისაგან და მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისაკენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიაა, რომელიც უზრუნველყოფს სამოგადოების ჯანსაღ ცხოვრებას.

აგრარული სექტორის განვითარება შეუძლებელია, თუ არ იქნება გათვალისწინებული ის რისკებიც, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას გადამამუშავებელი და აგრობიზნესში ჩართული კომპანიების საქმიანობით, მაგალითად, გამოყენებული წყლის არასწორი უტილიზაციით, წყლის ხარისხის გაუარესებით, ქიმიკატების გამოყენების შედეგად სხვადასხვა ნეგატიური ეფექტების წარმოშობით და სხვ. სამოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრობიზნესის კომერციული და სოციალური მარკეტინგული სტრატეგიების მიზანმიმართულ რეალიზაციაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, რადგანაც აგრარულ სექტორში ქალთა უმეტესობაა დასაქმებული და იგი მინამეურნეობების საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროგრამები მიმართული უნდა იყოს ქალთა, მათ შორის მოზარდი ქალების, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ ორიენტირებული უნდა იყოს რეპროდუქციული ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე. გაეროს მოსახლეობის ფონდი დადებითად მიიხსნევს სოციალური მარკეტინგის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას, რათა სამოგადოებაში შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც თანაბრად იქნება გადისაწვდილი პასუხისმგებლობა ქალსა და მამაკაცს შორის ოჯახის დაგეგმვის, საოჯახო მეურნეობის წარმართვის, შვილების აღზრდისა და სხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.<sup>33</sup>

## სოციალური სფეროს ბენეფიციური ასპექტები

*სოციალური დაყვის უნივერსალური სისტემიდან სიღატაკებზე  
ორიენტირებულ მისამართული დახმარებაზე გადასვლამ  
ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ეფექტიანი სოციალური დაყვა.  
დედების სოციალური უზრუნველყოფა საერთაშორისო  
- იმისათვის, რომ სახელმწიფო ხარჯები მიმართული იქნეს იმ ფუნქციონირების, რომელიც მას ყველაზე მეტად საჭიროებენ, აუცილებელია შემოსავლების მდგრადი ოდენობის დადგენა, რაც საშუალებას მისცემს ოჯახებს უკონდო პრეგნანტა ამა თუ იმ დახმარებაზე. ასეთი მდგრადი ოდენობისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სიღატაკის ეროვნული დონე, რომელიც ქვეყანაში საარსებო მინიმუმის მოთხოვნას დაემყარება. რამდენადაც დახმარების მსურველთა რაოდენობა შეიძლება საკმაოდ ბევრი აღმოჩნდეს, ამიგომ უნდა იქნეს გაელებული საზღვარი, თუ ვინ მიიღებს მას, მაგალითად, ოჯახები, რომელთა შემოსავლები შეადგენს საარსებო მინიმუმის 50 პროცენტზე ნაკლებს. ან კიდევ უნდა შეადგენდეს სიღარიბის ოფიციალური დონის 25 პროცენტს. ყოველივე ამას მიზანშეწონილია დაემატოს კოეფიციენტი, რომელიც გათვლილი იქნება ბავშვების რაოდენობაზე ოჯახში. რადგან მოხმარების სტრუქტურა ასეთი ოჯახებში სრულიად განსხვავებულია იმ ოჯახებისაგან, სადაც ბავშვი არ არის.
- ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახების გენდერული შემადგენლობა და შემოღებულ იქნეს დახმარების მრავალფეროვანი მომსახურება, რომელიც მოიცავს ქალებსაც და ბავშვებს და არ უნდა იქნეს უარყოფილი ისეთი აპრობირებული მომსახურების ინსტრუმენტები, როგორცაა დახმარება ბავშვებზე,

## საბინაო სუბსიდიები და სხვ.

- მრავალ ქვეყანაში შემოღებულია დახმარების ისეთი სახე, როგორცაა კრედიტები ბავშვებსა და დედებს, რაც ხელს უწყობს ოჯახების განვითარებას და ქალის ოჯახში დისაქმების საზოგადოებრივ აღიარებას. ასეთი სახის დახმარების აპრობაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს რომელიმე ქალაქში არასამთავრობო და მიკროსაოჯახის ორგანიზაციების მონაწილეობით და მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოხდეს მისი განზოგადება.
- სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის მონიტორინგის სფეროში (იმ შინამეურნეობების მონიტორინგი, რომლებიც გახდნენ სახელმწიფოს ბენეფიციარები) მიზანშეწონილია არასამთავრობო სექტორის მონაწილეობის სტიმულირება. ამასთან, ბენეფიციართა გამოსაკვლევად ოჯახების სოციალური დახასიათებისათვის საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვა, რადგან მათ უკეთესად იციან ოჯახების მდგომარეობა. ადგილობრივი ბიუჯეტების გააქტიურება საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის გზით შედეგიანს გახდის სოციალურ დახმარებას იმ მიზნით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური საქმიანობის დაფინანსება ნაკლებად ბიუროკრატიულია, უფრო მეტად მიზნობრივია და მისამართულია, ამიტომ მიზანშეწონილია ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის სოციალური ფუნქციების გადანაწილება და ადგილობრივი თვითმმართველობის გააქტიურება.
- სოციალური დაცვა არის როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითადი ფუნქცია. დღესდღეობით ამ ორ ბიუჯეტს შორის ურთიერთობა არ არის განსაზღვრული არა მარტო ტარნსფერების სამართლიანობის ასპექტით, არამედ დეცენტრალიზაციის პროცესების თვალსაზრისითაც. სოციალური დახმარების ძირითადი გეირთი კვლავ აწევს ცენტრალურ ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაყვამული სოციალურ დაცვაზე დანახარჯების მენიუ შეიცავს: ელექტროენერგიაზე და კომუნალურ მოსახურებაზე შეღავათებს, მგზავრობას საქალაქო გრანსპორტით, ოჯახურ დახმარებებს, მიწაზე გადასახადის შეღავათებს, მუნიციპალური სამედიცინო პროგრამების დაფინანსებას, მარტოხელა დედების, ასალგაზრდა ოჯახების, ობოლი ბავშვების, უსაგრონო ბავშვების, 90 წელზე მეტი ასაკის ადამიანების, უმუშევართა და სხვა დახმარებებს. იგი უფრო მეტად დიფერენციირებულია, ვიდრე ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული დახმარების სისტემა გულისხმობს. სწორედ ამიტომ სოციალური დაცვა მოითხოვს თვითმმართველობის აქტიურ მონაწილეობას მოსახლეობაში სიღატაკის გამოსაუღწეად და იმ ფუნქციის შესარჩევად რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სახელმწიფო ფინანსები.
- ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად უნდა იყოს ჩართული სოციალური დაცვის პროცესში, როგორც მის ორგანიზაციაში, ასევე დახმარებების გაყვამასა და მის განსაზღვრაში. ამ სფეროში იღლია ადგილობრივი თემების მონაწილეობა, სადაც ქალების რაოდენობა იქნება მეტი. შემყირდება სახსრების არაუეფექტიანი ხარჯვა და დახმარებებში უფრო მიზნობრივი გახდება. ამ მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების გადამზადება, რომ მოემზადონ ადრესული დახმარების განსახორციელებლად. დღესდღეობით ასეთი საქმიანობისათვის თანხები ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

საველეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისაგან, საპენსიო სისტემა, რომელიც დაეუქმნება სავალდებულო და ნებაყოფლობით სადამღვევო შენატანებს და მრავალსქემიან საპენსიო სისტემას, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაშია. არსებული სოლიდარული სისტემა მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს სახელმწიფო ბიუჯეტზე სოციალური უზრუნველყოფის გეირთის შეწოლას. თუ დღემდე ამის მიზეზი იყო ფინანსური სახსრების დეფიციტი, დანამოკების სიმყირე და შიდა საფინანსო ბაზრების სისუსტე, სადაც კერძო საპენ-

სიო უონდებს შეეძლოთ მისი დაბანდება, ამჟამად ეს ბარიერი არ არის იმდენად ძლიერი, როგორც ეს იყო რამდენიმე წლის წინ. ამიტომ ამ სფეროში სახელმწიფომ უნდა დაიწყოს მსოფლიოში აპრობირებული სქემების დანერგვა.

პერსონიფიცირებული აღიქმის სისტემის დანერგვა არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გადავიღებთ ქვეყანაში შრომის, სტაქისა და საგადასახადო ანარიცხების მიხედვით პენსიების დიფერენცირებული სისტემის შემოღებას. როგორც მსოფლიო ბანკის სპეციალისტები უიქრობენ, შეიძლება რეფორმის განხორციელება ეტაპობრივად და სხვადასხვა დროს ცალკეულ ელემენტების შემოღებას.

სოციალური პოლიტიკის ამოცანა უნდა იყოს შრომითი პოტენციალის გაძლიერება, რაც შეიძლება მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებით განხორციელდეს. ამ სფეროში ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიექცეს ქალების დასაქმებას, რომელთა წილი მეწარმე სუბიექტებში არის 35 პროცენტი, ხოლო ეკონომიკის ყველა დარგში და ყველა სფეროში ქალების ნომინალური ხელუასი ნაკლებია დაქირაებით დასაქმებულთა კაცების საშუალოთიურ ნომინალურ ხელუასზე (იხ. თაეი 4).

ქვეყანაში გატარებული რეფორმის შედეგად სოციალური დაცვის უნივერსალური სისტემიდან სიღატაკეზე ორიენტირებულ დახმარებაზე მოხდა გადასვლა. ამ ინსტიტუციონალურ ცვლილებებთან ერთად სახელმწიფომ სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელებისას საბაზისო პრინციპად უნდა აიღოს ათასწლეულის მიზნებისა და სიღარიბის პროგრამის მოთხოვნები, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მუხლია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ადგილობრივი ერთეულების ბიუჯეტების მონიტორინგი არის ძირითადი გზა სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ქვეყანაში.

# ბენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე

*შრომის ბაზარზე გაღრმავდა გენდერული სეგრეგაცია  
არსებული საკანონმდებლო ბაზა დასაქმებულთა  
(უმრავლესობის) ინტერესებს არ გამოხატავს.*

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, საქართველოსათვის, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნისათვის, დამახასიათებელი გახდა მოსახლეობის დაბალი შემოსავლები, შეზღუდული ფისკალური რესურსები და განუვითარებელი საბაზრო ინსტიტუტები. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარღობრივმა კრიზისებმა და მოუწყობელმა საგარეო ურთიერთობებმა ექსტრემალური ვითარება შექმნა საქართველოში და ძალზე გააძწევა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ყოველივე ეს კი რეულექსურად აისახა შრომის ბაზრის განვითარებაზე: მკვეთრად შემცირდა დასაქმება, წარმოიშვა რეგიონალური და გენდერული დისპროპორციები და უმუშევრობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ხანგრძლივი ხასიათი შეიძინა.

## 4.1. შრომის ბაზრის ბენდერული სტრუქტურა შრომის ბაზრის სტრუქტურა

90-იან წლებში საქართველოში სოციალურ პოლიტიკის განხორციელებაზე იხარჯებოდა მიზერული თანხები, იგი არაეფექტიანად ნაწილდებოდა. არაქმედითი იყო უმუშევართა დახმარებაც. სახელმწიფოს მინიმალური როლი ენიჭებოდა შემოსავლების გადანაწილებაში, მცირდებოდა რეალური ხელფასები და მიუხედავად იმისა, რომ უპირატესად არაფორმალური სექტორი ვითარდებოდა, უმუშევრობის დონე კვლავ მაღალი რჩებოდა.

1990-2003 წლებში მნიშვნელოვნად გაუარესდა დასაქმების პარამეტრები. მასზე ძირითადად ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკის დარღობრივი სტრუქტურის შეცვლის შედეგად სამუშაო ძალის გადანაცვლებამ სოფლის მეურნეობაში, დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, მიგრაციულმა პროცესებმა და მცირე ბიზნესის განვითარებლობამ.

1990-2007 წლებში დასაქმების პარამეტრები არ გაუმჯობესებულა. მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი, ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის კლების საპირისპიროდ გაიზარდა თვითდასაქმებულთა რაოდენობა და სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი შეადგინა.<sup>61</sup> დღეს დაქირავებით დასაქმებულები სამუშაო ძალის მხოლოდ ერთი მესამედი. აქედან არაფორმალურ სექტორში დაქირავებით დასაქმებულები სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების ნახევარს შეადგენენ. უმუშევრობის დონე კი სტაბილურად 13-14 პროცენტია. დასაქმებულთა აბსოლუტურად დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები და ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავეები არიან. ამ უკანასკნელზე მოდის დასაქმებულთა ერთი მესამედი.<sup>62</sup>

შრომის ბაზარზე სახელმწიფო სექტორს აქვს დიდი წილი დაქირავებით დასაქმებ-

61 ეს მაჩვენებელი ეკონომიკურმა საშუალებით 16 პროცენტია თვითდასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საიერ-სნეოშია, სადაც დასაქმებულთაგან თითქმის ყოველი მესამე თვითდასაქმებულია.

62 საქართველოს ეკონომიკურ განვითარების საინსტრუქციო სააგენტოს დაჯერებული მონაცემები

ულების რაოდენობის მხრივ. მართალია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 4-ჯერ და მეტად შემცირდა, მაგრამ დაქირაევებით დასაქმებულთა შორის ეს სექტორი კვლავ მაღალ წილს ინარჩუნებს. არაფორმალურ სექტორში ჭარბობს თვითდასაქმებულები და უსასყიდლოდ მომუშავე ადამიანები რაოდენობა.

საქართველოში შრომის ბაზრის არსებული სტრუქტურა ძირითადად დაეუძნა დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზემოქმედებას. არაფორმალურ სექტორში დაქირაევებით დასაქმებულები ღრემდე ვერ გახდა ეკონომიკის წარმმართველი ძირითადი ძალა, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში უზრუნველყოს შრომის მწარმოებლურობის მრდა.

## შრომის ბაზრის ბენდარული უთანასწორობა

საქართველოში შრომის ბაზარი გენდერულად სეგმენტირებულია. ქალები ძირითადად სახელმწიფო სექტორში არიან დასაქმებულნი, სადაც ყოველ 100 მამაკაცზე 117 ქალი მოდის, არასახელმწიფო სექტორში კი ყოველ 100 მამაკაცზე დაქირაევებით დასაქმებულია 57 ქალი.

ცხრილი 4

დასაქმების გენდერული სტრუქტურა  
ქალები ყოველ 100 მამაკაცზე საქართველოში  
2006 წლის მიხედვით

მისახლეობა - სულ	107
დასაქმებულები - სულ	91
აქლან.	
• მწარმოებელზე დაქირაევებული	23
• დაქირაევებით დასაქმებულები	91
დაქირაევებით დასაქმებულები სახელმწიფო სექტორში	117
დაქირაევებით დასაქმებულები არასახელმწიფო სექტორში	57
დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან:	
• მართვის ორგანოების ხელმძღვანელები	36
• უმაღლესი ღონის ევალიფიკური სპეციალისტები	161
• საშუალო ღონის ევალიფიკური სპეციალისტები	159
• ინჟინერების მონაწილეობით, დოკუმენტების გეგმვაში, აღრიცხვა და მონაწილეობით დაკავებული მუშაკები	254
• ფაქტორების, მონაწილეობის ან მონაწილეობის საქმიანობის მუშაკები	107
• სოფლის, საბინადრო, საგეო, მეთეფოსის ევალიფიკური მუშაკები	103
• საინჟინერო წარმოების, მშენებლობის, გრანსპორტის, კაპიტალის მართვის ევალიფიკური მუშაკები	16
• ოპერატორები, მესაქონეები, ზეინკალიფიკაციის და მსოფლიო	2
• არაევალიფიკური მუშაკები	5

წყარო: აზოურ არკე ინ ფორტია, (2006) პპ. 11, 31, 33, 35, 41.

ამასთან, დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან ყოველ 100 უმაღლესი ღონის მაღალევალიფიკური მამაკაც-სპეციალისტზე 161 მაღალევალიფიკური ქალი-სპეციალისტი მოდის, საშუალო ღონის სპეციალისტებში - 159 ქალი, არაევალიფიკური საშუალო ძალაში კი ყოველ 100 მამაკაცზე მხოლოდ 5 ქალი მოდის.

როგორც ვხედავთ, შრომის ბაზარზე ქალების ევალიფიკაცია არ ჩამორჩება მამაკაც-

ბის კვალიუსკაცისა. მიუხედავად ამისა, ქალებს მამაკაცებთან შედარებით დაბალი ანაზღაურება აქვთ: 2007 წელს მრეწველობაში მათი ანაზღაურება შეადგენდა მამაკაცის ანაზღაურების მხოლოდ 57,3 პროცენტს, ეაქრობაში, ჯანდაცვაში და სოციალური მომსახურებაში – 37-40 პროცენტს, მშენებლობაში – 67,0 პროცენტს, სასტუმროებსა და რესტორნებში – 55,0 პროცენტს, გრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 78 პროცენტს, საუნიანსო შემავლობაში – 73 პროცენტს.<sup>63</sup>

თუ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყველა თანამდებობების მიხედვით საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული ქალის საშუალო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასის 75 პროცენტს შეადგენდა, 1990-იანი წლების ბოლოსათვის იგი 52 პროცენტამდე დაეცა და ამჟამად 48,6 პროცენტს არ აღემატება. ყოველივე ეს, ოჯახურ მეურნეობაში ქალის აუნაზღაურებელ შრომის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, საქართველოში შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის არსებობაზე მეტყველებს.

## ქალის როლის გაზრდა ეკონომიკაში

კრიზისები და სიღარიბე განსხეავებულად ზემოქმედებს სხვადასხვა სოციალურ ფენაზე, ქალებზე და მამაკაცებზე, მდიდრებზე და ღარიბებზე. კრიზისებს თან სდევს სამუშაოს დაკარგვა, ამის შედეგად იზრდება მინამეურნეობებში აუნაზღაურებელი შრომის ფასი, რადგან სწორედ ასეთი შრომით ხდება დაკარგული ბაზრებიდან შესყიდული სამომხმარებლო საქონლის შეტყეველი ნაგურალური პროდუქტების დამზადება და მომსახურება.<sup>64</sup> აუნაზღაურებელი შრომა ახდენს საბაზრო ურთიერთობებიდან მიღებული საქონლისა და მომსახურების კომპენსაციას. მის ძირითად გვირგვინს კი ქალი ატარებს. მას უხდება მინამეურნეობებში უფრო მეტი დროის ხარჯვა იმაზე, რასაც ისინი ადრე ფასიანი მომსახურების სახით (ბავშვების განათლება, ჯანმრთელობის დაუვა, კეება, სხვა საოჯახო საქმეები) იღებდნენ.

სხვადასხვა ქვეყანაში გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ როდესაც მამაკაცების დასაქმება მცირდება, ქალების დასაქმება პროცენტულად ნაკლებად მცირდება ან კიდევ იგივე რჩება, და პირიქით.<sup>65</sup> უმუშეოების დროს აუნაზღაურებელი შრომის რაოდენობა ქალებში იზრდება უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებში.<sup>66</sup> ამდენად, ქალების დასაქმება უფრო მოქნილია და მგრძობიარეა ბაზრის ცვლილებების მიმართ, ვიდრე მამაკაცის, თუმცა დასაქმების "კომპენსაციის" ანუ ქალების ანაზღაურებადი შრომის წილი შრომითი დანახარჯების მთლიან მოცულობაში საგრძობლად დაბალია მამაკაცებთან შედარებით. ამასთან, ქალი პროფესიული სამუშაოდან ადვილად გადართევა ოჯახურ საქმეებზე, მამაკაცი კი უფრო მკვიდროდ არის "მიბმული" პროფესიულ საქმიანობასთან, ამიტომ სამუშაოს დაკარგვა მასზე უფრო მტკივნეულად მოქმედებს, ვიდრე ქალზე. ბაზრის ცვლილების შედეგად მამაკაცისა და ქალის შრომის საშუალო ხანგრძლივობა ერთმანეთის საპირისპიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცების დასაქმება მცირდება.

არსებობს რამდენიმე მოდელი ქალისა და მამაკაცის განსხეავებული შრომითი როლის შესახებ საზოგადოებაში. ერთ-ერთი მოდელის თანახმად, მამაკაცის შრომა არის ოჯახის ფინანსური შემოსავლების მთავარი წყარო, ხოლო ქალისა და ბავშვების საქმიანობა და სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველყოფილია მამაკაცის შემოსავლებით. მამაკაცი, როგორც ოჯახის შემოსავლების მთავარი წყარო, არის დამახასიათებელი

63 ქალი და კაცი საქართველოში (2008), გვ. 53-54.

64 განაზღვრულ მრისხს ძირითად ქალები სწვენს საზოგადოებისა და ეკონომიკის სასარგებლოდ. იგი გულისხმობს რეპროდუქციულ უნარს, ბავშვების აღზრდას, ოჯახის წევრებზე ზრუნვას და სხვ. ასეთი შრომა ზრუნვის კონომიკის სფეროს განუკუთვნება და ვენდერულ უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე უკუვლესი ფორმად ითვლება.

65 Hecker G.S., (1981). A Treatise on the Family, Harvard University Press, Cambridge; Sen.A. (1995). Gender and

Cooperative Conflict. In I. Tinker/ed/ Persistent Inequalities: Women and World Development, New-York

66 ყოველ 100 მამაკაცზე ქალებს რაოდენობა ოჯახურ საქმიანობაში უფრო დასაქმებულია შორის, როგორც და მკვლად აღესაბამებენ ადგილობრივ თანამართლობის დაქირავებით დასაქმებულთა შორის. (Labour Market in Georgia, (2006). Tbilisi, p. 33).



ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის და ბიზნეს-სამყაროსათვის, სადაც ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები და მათი შრომა არის კარგად ანაზღაურებადი. ქალებისათვის ძნელია ადაპტირება იმ სამყაროში, სადაც გაერყელებულია ცნობიერება იმის შესახებ, რომ მამაკაცი არის ოჯახის შემოსავლების მომპოვებელი. ქალის შრომა ამ ცნობიერებაში მეორეხარისხოვან ფუნქციას იძენს. ისინი მამაკაცის კმაყოფიან არიან.

რეალურად შინამეურნეობები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, რომელიც მოიცავს ქალის დაქირავეებით შრომას და ოჯახში მის მიერ ოჯახის სხვა წევრების მოვლა-პატრონობას, რაც ფულად ფორმაში არ აისახება და არ ითვლება ანაზღაურებად შრომად.

საქართველოში ფართოდ გაერყელებულია ქალის ორმაგი დატვირთვა - სახლში შრომა და დაქირავეებით შრომა. დასაქმების გენდერული სურათიდან ნათელია, რომ ოჯახის გარდა ქალს უხდება დასაქმება შინამეურნეობების გარეთ ოჯახის შემოსავლების გაზრდის მიზნით, ასეთი ორმაგი დატვირთვა განპირობებულია ერთის მხრივ, მამაკაცის მიერ გამოუმუშავებელი ფულადი სახსრების ნაკლებობით ოჯახის საჭიროებებისათვის, რაც აიძულებს ქალს იყოს აქტიური შრომის ბაზარზე, ხოლო მეორეს მხრივ, კი ქალი ცდილობს თავისი სოციალური სტატუსის დამკვიდრებას. როგორც ზემოთ მოგანილი ციურები მეტყუელებენ, ქალი საქმდება კაცის თანასწორად შრომის ბაზარზე, თუმცა განიცდის ეერტიკალურ უთანასწორობას ანაზღაურებაში.

## მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

საქართველოში შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა არის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების არასაკმარისი დონე. 2002-2006 წლებში ჩამოყალიბებული პროპორციების მიხედვით, ბიზნეს-სექტორის მთლიან ბრუნვაში მცირე ბიზნესის წილად მოდის დაახლოებით 15 პროცენტი, საშუალო ბიზნესის წილად - 10 პროცენტი და მსხვილი ბიზნესის წილად - 75 პროცენტი. მედარებისათვის, ეეროკეშირში ვაიილებით დაბალია მსხვილი ბიზნესის წილი და შეადგენს მთელი ბრუნვის დაახლოებით 42 პროცენტს. შესაბამისად, მაღალია საშუალო (19 პროცენტი) და მცირე (39 პროცენტი) ბიზნესის წილი.<sup>67</sup>

მცირე და საშუალო ბიზნესი არის გენდერულად მგრძობიარე სუეროები, რადგან აქ ძირითადად დასაქმებულები არიან ქალები და თითოდასაქმებული ადამიანები. ამ სუეროს განვითარებას აქვს დასაქმების დიდი პოტენციალი და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შინამეურნეობისათვის, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შრომის არამონეტარული და არაანაზღაურებადი შედეგების მონეტიზაციას და შესაბამისად, ქალის აუნაზღაურებადი შრომის საშოვადოებრივ შრომად აღიარებას.

### ქალი და ბიზნესი

2007 წელს გაეროს პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში ჩატარდა ბიზნეს სექტორის კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ბიზნესსექტორის უფერაიისა და სამრეწველო-სავაჭრო პალატის წევრები, ასევე ის ორგანიზაციები, რომელთაც სერიოზული წვლილი შეაქეთ ქართული ბიზნესის განვითარებაში. დასაქმების საერთო მაჩვენებლებში მამაკაცების უპირატესობის მიუხედავად, ახალი კვლევის მონაცემების მიხედვით, ამკარაა დასაქმებულთა შორის ქალთა რიცხვის ზრდა. თუ 2006 წელს 38 პროცენტი ქალი იყო დასაქმებული კერძო სექტორში, 2007 წელს 42 პროცენტი.

67 Schriemmann Manfred, (2006). SMEs and entrepreneurship in the EU. Statistics in Focus: industry, trade and services, 24/2006.

იგივე ტენდენცია შეიმჩნევა აღნიშნულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზეც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა მონაწილეობა 22,3 პროცენტთან გაიზარდა 38,3 პროცენტამდე.<sup>68</sup> ეს ტენდენცია თითქმის ყველა ქვეყანაში მზარდია. ქალები უფრო მეტად იკავებენ ადვოკატ ბიზნესის მმართველობის მაღალ იერარქიულ საფეხურზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ბიზნესის კუთხის ინსტიტუციონალური ბარიერები და მაკონტროლებელი ორგანოების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა უფრო პირობები მაინც არასაკმარისია საქართველოში. სამეწარმეო საქმიანობის საკანონმდებლო შემდეგები ქალებისათვის არ არსებობს, მაგრამ მათ ძალიან უჭირთ ბიზნესის წარმართვა. მიზეზი მრავალია: საკუთრების უფლების ხელყოფა, არასაკმარისი ინფორმაცია გასაღების ბაზრის შესაძლებლობების შესახებ, საბანკო კრედიტებისადმი და ახალი ტექნოლოგიებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, ქმედითი საკონსულტაციო ცენტრების (ბიზნეს ინკუბატორების) არაარსებობა და სხვ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა “კონსტანტა”, “ფინკა საქართველო”, “კრისტალი”, “კრელო” და სხვ., გასულ წელს გაეცმულია კრედიტი 55 ათას მსესხებელზე, მათი უმრავლესობა თვითდასაქმებული ქალია. სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულები განსაკუთრებით აღნიშნავენ საბანკო კრედიტების მოკლებადიანობასა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობას, რაც მათ საქმიანობას ნაკლებად ეუფეტიანს ხდის.

### ბანკი ღარიბებისათვის

2006 წლის ნობელის პრემიის ღირსებმა, ეკონომიკის პროფესორმა ბანგლადეშიდან მუჰამედ იუნუსმა აღნიშნული პრემია მიიღო ღარიბებისათვის მცირე კრედიტის გაცემის ხელშეწყობისათვის. ბოლო 30 წლის განმავლობაში მან დახმარება გაუწია ექვს მილიონ ბანგლადეშელს, ძირითადად ქალებს. ამ ხნის განმავლობაში მისმა „გრამ-მენ ბანკმა“ თავის კლიენტებს 5 მილიარდ დოლარზე მეტი კრედიტი გამოუყო. თავის ბანკს პროფესორი იუნუსი სხვა გრადიციული ბანკებისაგან იმით განასხვავებდა, რომ იგი მოგების მაქსიმიზაციის ნაცულებს წარაუგოდა ღარიბი მოსახლეობისათვის, ძირითადად ქალებისათვის უინანსური დახმარების გაცეას, რათა მათ სიღარიბე დაეძლიათ.

საგულისხმოა, რომ 90-იან წლებში იუნუსს და მის ბანკს ამ კეთილშობილური წამოწყებისათვის ბოიკოტი გამოუცხადა ისლამისტმა უნდამენგალისტებმა. ისინი ფიქრობდნენ, არც თუ უსაფუძლოდ, რომ მიკროკრედიტები ხელს შეუწყობდა და დაამქარებდა ქალთა ემანსიპაციასა და დაარღვევდა ქვეყანაში არსებულ გრადიციულ იერარქიას.

იუნუსის განცხადებით, ნობელის პრემიას, რომლის მოცულობა 1.1 მლნ ეუროა, ძირითადად გამოიყენებდა იაფი სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი ფაბრიკების, საავადმყოფოების, სკოლების ასაშენებლად, სასმელი წყლის სისტემის რეკონსტრუქციისათვის, იმ ადამიანების დახმარებისათვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.<sup>69</sup>

68 სოციოლოგიური კვლევის ანგარიში საკუთესო გენდერული ბალანსის მქონე ორგანიზაციის ვაისისაქუნდა. “გენდერი და პოლიტიკა საქართველოში”. გვ. 2-3.

69 Muhammad Yunus. Available at: [www.answers.com/topic/muhammad-yunus](http://www.answers.com/topic/muhammad-yunus); Prof. Muhammad Yunus & Gramscen Bank awarded the Nobel Peace Prize for 2006. Available at: [www.muradhuafoundation.org/index.php?option=com\\_content&task=view&id](http://www.muradhuafoundation.org/index.php?option=com_content&task=view&id)

## 4.2. სახელმწიფო სექტორში დასაქმების გენდერული პოლიტიკა

საქართველოში დასაქმებული ქალები უპირატესად სახელმწიფო სექტორს ირჩევენ სამუშაოდ. საჯარო სამსახური დღეს უფრო მეტად მომხიდეელია ქალებისათვის.<sup>70</sup> ამაზე მეტყველებს ის, რომ ყოველ 100 მამაკაცზე მოდის 23 მეწარმე ქალი და 91 დაქორავებით დასაქმებული ქალი. ამასთან, დაქორავებულთა საერთო რაოდენობაში სახელმწიფო სექტორში ყოველ 100 მამაკაცზე მოდის 117 ქალი, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში კი ყოველ 100 მამაკაცზე მართვის ორგანოს ხელმძღვანელია 36 ქალი, 161 უმაღლესი დონის კვალიფიციური სპეციალისტი, 159 საშუალო დონის კვალიფიციური სპეციალისტი, 254 ინფორმაციის მომზადებით, დოკუმენტების გაფორმებით, აღრიცხვითა და მომსახურებით დაკავებული მუშაკი. (იხ. ცხრილი 4).

2004 წლამდე მზარდი უმუშევრობის ფონზე ხელისულება საჯარო მოხელეების რიცხვს ვერ ამცირებდა, რის შედეგად გაბერილი საჯარო სამსახური ჩამოყალიბდა. საჯარო მოსამსახურეებს დაბალი ხელფასები ჰქონდათ. მდგომარეობის გაუმჯობესება 2004 წელს დაიწყო, როცა ხელისულებამ სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში რეფორმები წამოიწყო. საჯარო სამსახურის რეფორმის სფეროში მთავრობის მიერ გადაღებული პირველი ნაბიჯები ზედმეტი უწყებების გაუქმებასა და შტაბების სერიოზულ რეორგანიზაციას გულისხმობდა. ამასთან, ერთი და იმავე დონის თანამდებობებისათვის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებას განსხვავებული თანამდებობრივი სარგოები გააჩნდა.

სახელმწიფო სექტორი 2006 წლამდე იყო ქალის უპირატესი დასაქმების სფერო, მაგრამ სამინისტროების რეორგანიზაციის შედეგად 2006-2008 წლებში დასაქმებული ქალების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა (იხ. ცხრილი 5). შემცირდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების ხვედრითი წილიც. 2008 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრდა გაუარესდა. ამასთან, სახელმწიფო სექტორში ქალის საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა მამაკაცის ხელფასის 80-90 პროცენტი. ყოველივე ეს არის იმის დასტური, რომ რეორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, აუარესებს ქალის დასაქმების მაჩვენებლებს.

ცხრილი 5

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების,  
საქართველოს ფინანსთა და საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებში ქალის  
საშუალო საშტატო რიცხოვნობა და მათი შრომის ანაზღაურება  
2005-2008 წლებში (წილი მთლიან საშტატო რიცხოვნობაში, %) |  
იანვრის მდგომარეობით

	2005	2006	2007	2008
საშტატო რიცხოვნობა, სულ	65.5	56.7	53.1	52.5
მთა შორის:				
ხელმძღვანელი (მინისტრი და მინისტრის მოადგილე)	-	11.1	13.3	7.1
დეპარტამენტი და მასთან გათანაბრებული სტრუქტურის ხელმძღვანელი	37.5	35.7	29.2	24.0
სპეციალისტი და მასთან გათანაბრებული სტრუქტურის ხელმძღვანელის მოადგილე	37.9	29.6	29.4	26.1
სახმარებელი (დანიშნულება) და მასთან გათანაბრებული სტრუქტურის ხელმძღვანელი	25.1	17.8	28.1	39.3

<sup>70</sup> ქალაქ ქუთაისისა და რუსთავეს პროექტის "გენდერი და პოლიტიკა საზოგადოებაში" ფარგლებში ჩატარებულ გამოკვლევებს შედეგად გამოვიდნოდა, რომ რეორგანიზაციის შედეგად ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის, კერძო სექტორი მისწრაფებულია დასაქმების ეფექტურ საშუალებად სფეროდ, მაგრამ კერძო სექტორში ქალების დასაქმება ვეღვანობით უფრო პრობლემატურია, ვიდრე კაცებისათვის. მხოლოდ გასული წლებითა ერთი შესაძლებელი მაჩვენებელია, რომ ამ სფეროში ქალებს არ უნდა ჰქონდეთ პრობლემა. ახდენდა უპირატესობა აღიარებს, რომ შრომის ბაზარი გენდერულად სეგრეგირებულია (საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული ხუკუტის დასასტრგად (2007). გაეროს განვითარების პროგრამის მიუქტი - გენდერი და პოლიტიკა საზოგადოებაში. იმ., გვ.46-47).

სამართლებრივი (განყოფილება) და მასთან ვთანამშრომელი სტრუქტურის ხელმძღვანელის მთავარი (კონსულტანტი)	37.9	32.0	34.8	29.2
მთავარი სექციონისტი	70.2	74.1	34.3	70.9
წარმცხად (ურთი) სექციონისტი	72.2	72.0	65.3	67.7
სექციონისტი	36.9	61.2	59.1	70.5
მეტაგარეშე თანამშრომელი (დამხმარე მოსამსახურე)	46.2	38.2	37.2	46.0
დასაქმებულთა სამკალო თვითი ხელმძღვანელი (დარი)	85.0	81.6	81.6	90.0
აქედან სამკალო თვითი ხელმძღვანელი				
დამხმარე მოსამსახურეთა	82.2	76.3	80.4	88.6
დამხმარე მოსამსახურეთა	100	100	100	100
მეტაგარეშე მოსამსახურეთა	82.6	82.1	34.7	80.2

წყარო: ქალი და კაცო საქართველოში, (2008), გვ.50

ამემაღ, საქართველოში საჯარო სამსახურში მიმდინარე რეფორმების მუქმე კონკურენცია იზრდება. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინერგება კორპორაციული ქცევე-ბი და სახელმწიფო დაწესებულებები კვალიფიციური მუშახელის მოზიდვის მოზნით კონკურენცი ფირმების მსგავსად მოქმედებენ. ეს გარემოება კი მნიშვნელოვნად ზრდის ანამზაურებას ამ სექტორში და ამასთან, გაურკვეველს ხდის ზოგიერთ გარემოებას. კერძოდ, ერთი და იმავე თანამდებობის ადამიანებს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში ერთნაირი უნდა ჰქონდეთ თუ არა ანამზაურება? ჯერ-ჯერობით ეს საკითხი გადაუწყვეტელია. თუმცა, როგორც გამოკვლევა ადასტურებს, დღემდე ერთი და იმავე თანამდებობის ადამიანებს სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა ანამზაურება აქვთ. მეორე პრობლემაა ის, თუ რამდენად სამართლიანია იგი. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ საქართველო მიერთებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს, სადაც მოცემულია თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანამზაურების პრინციპის დაყვის მოთხოვნა.

გარდა ამისა, გაურკვეველია ისიც, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს დამატებითი ანამზაურება, მაგალითად, მუხანძრებს ან პოლიციელებს უნდა ჰქონდეთ თუ არა დამატებითი სარგო იმის გამო, რომ მათი შრომა დაკავშირებულია რისკთან? თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ უნდა მიეცეს დამატებითი ანამზაურება მათ, ვინც უფლობს უცხო ენებს და მუშაობს საჯარო საქმეთა სამინისტროში და ა. შ. ეს გარემოება შეიძლება გახდეს გენდერულად მგრძობიარე იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ დამატებითი სარგოებით უფრო მეტად მამაკაცები ისარგებლებენ.

თუ საჯარო სამსახურის რეფორმები განვითარდება საბაზრო სისტემის მიმართულებით, მაშინ ქალებს იგივე პრობლემები წამოეშებათ, რაც კერძო სექტორში არსებობს. თვითთელ საჯარო მოხელესთან საჯარო სამსახურის ადმინისტრაციამ ინდივიდუალური ხელშეკრულების საუბეუბზე უნდა დაადგინოს ანამზაურების ოდენობა, რაც კადრების მოზიდურობის თვალსაზრისით შეიძლება ეფექტიანი იყოს, მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მისი სამართლიანობა. ასეთ პირობებში კი გენდერული განსხვავება კიდევ უფრო გაიზრდება და შესაძლებელია დასაქმებებში განვითარდეს პროფესიული და სექსუალური ძალადობა.

იქნება საჯარო სამსახური დიდი კორპორაციის მსგავსი სისტემა სადაც რანგირების, სოციალური და სამართლებრივი დაყვისა და თანამდებობრივი სარგებლის ერთიანი სისტემით დახასიათდება, თუ კონკურენტული შრომის ბაზარი, სადაც ცალკეული სახელმწიფო დაწესებულებები კვალიფიციური მუშახელის მოზიდვის მიზნით კონკურენცი ფირმების მსგავსად იმოქმედებენ, შრომის ბაზრის გენდერულ სურათს მნიშვნელოვნად შეცვლის.

ამასთან, საჯარო სამსახურის გარდაქმნასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ერთიანი საჯარო სამსახურის შესახებ კოდექსის მიღება, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი მოდელი უნდა იმუშაოს ქვეყანამ, აგრეთვე გადაწყვეტს გენდერულ პრობლემებსაც, რომელიც დაკავშირებულია ქალისა და კაცის განსხვავებულ პირობებზე სამსახურში აყენის, სამსახურიდან განთავისუფლების, მსრულებული სამუშაოს შეფასებისა და თანამდებობრივი სარგოს დაწესების საკითხებში. ძირითად პრინციპად უნდა იქნეს აღიარებული გენდერული თანასწორობა ხელფასებსა და თანამდებობის დაკავებაში. შრომითი ხელშეკრულების დადებისას გენდერული განსხვავებები უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი, რის აუცილებელ საფუძველს თვით კოდექსი შექმნის, რადგან რისკი იმისა, რომ კერძო სექტორში არსებული გენდერული წინააღმდეგობები სახელმწიფო სექტორშიც იხენს თავს - საქმაოდ დღია.

### შრომის კოდექსი და დეკრეტული შევლები

საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, „დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შევლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო - 477 კალენდარული დღის ოდენობით. ... ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან გყუქებით მშობიარობის შემთხვევაში - 140 კალენდარული დღე“ (მუხლი 27); საინტერესოა, რომ სახელმწიფო სექტორში მომუშავე ქალებზე არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ მთლიან დეკრეტულ შევლებას. ამ შემთხვევაში გაელენას ასდენს, არა მარტო ის, რომ დეკრეტული ფასიანი შევლება ლიმიტირებულია, არამედ ის ფაქტორიც, რომ მწვავე კონკურენტული გარემო ახალგაზრდა დედებს აიძულებს დროზე ადრე დაბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილზე და შეინარჩუნონ პროფესიული კვალიფიკაცია. რაც უფრო მაღალანაზღაურებადია სამუშაო, მით უფრო მაღე ბრუნდებიან დედები სამუშაოზე, ახალშობილ ბავშვებს დაქირავებულ ძიძას უტოვებენ ან საუკეთესო შემთხვევაში ბებიას. მსგავსი გენდერულია კერძო სექტორში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სექტორში მომუშავე ქალებს უფრო მეტად აქვთ გარანტირებული შრომის კოდექსით მინიჭებული უფლებები.

ეკლავაუ შეინიშნება ქალის მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები სამუშაო ადგილზე. შრომითი ხელშეკრულების დადების დროს დამქირავებელი უარყოფით ფაქტორად მიიჩნევენ ქალის ისეთ ოჯახურ მდგომარეობას, როგორიცაა გათხოვილი, მრავალშვილიანი, ჩვილბავშვიანი. ქალებს ეკლავ უჭირთ საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად ახალი ტექნოლოგიების ათვისება და ახალი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშაება, არ არსებობს ქალებისათვის სპეციალური პროგრამები.<sup>71</sup>

სხვა პრობლემები წარმოიშება საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით. თუ უნიფიცირებული სისტემა დაინერგება, რომელიც პენსიას საჯარო სამსახურში გაწეული მუშაობის კომპენსაციად მიიჩნევს და იგი გაიცემა საჯარო სამსახურში ნამსახურევი წლების მიხედვით, მაშინ იგი დასაქმებას საჯარო სამსახურში მიმდევლად აქცევს იმ შემთხვევაში, თუ კი ყველა საჯარო მოსამსახურისათვის ღირსეული სახელმწიფო პენსია დაინიშნება. მეორეს მხრივ, კი იბადება კითხვა, თუ რატომ უნდა დებულობდეს ჩინოვნიკი უფრო მეტ პენსიას, ვიდრე ექიმი ან მასწავლებელი? თუ სახელმწიფო სექტორში დაინერგება საბაზრო მოდელის მსგავსი საპენსიო სქემა, რომელიც პენსიას აღიარებს ხანდაზმულობით გამოწვეული შემდუდული უნარის კომპენსაციად, მაშინ იგი ყველასათვის თანასწორი უნდა იყოს და კერძო საპენსიო

71 დღეს იგი რაიმდენიმე კანონით რეგულირდება: კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, კანონი „საჯარო სამსახურის ინტერესთა უზრუნველყოფისა და კორუფციის შესახებ“, კანონი „საქართველოს შიდაგარეო სტრუქტურის, უფლებათა დაცვისა და საქონლისა წესის შესახებ“.

72 ათასწლეულის მიხნება საქართველოში, (2005), გვ. 22.

სქემებზე უნდა განსაზღვროს დამატებითი ანამლაურების საკითხი. ამჟამად ქვეყანა არჩევანის წინაშეა.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კვალიფიკაციას მიანიჭებენ საპენსიო ურო იერსობებს: იგი მოსასახურის ცხოვრების მანძილზე გაწეული სამსახურის კომპენსაცია იქნება თუ მუშაობის შემდგომი უნარის კომპენსაცია? თუ ეს ხანდაზმულობით გამოწვეული შრომისუნარობის კომპენსაციაა, მაშინ იგი ყველამ თანაბრად უნდა მიიღოს, მაგრამ თუ ეს საზოგადოებისათვის გაწეული სამსახურის დაუასებაა, მაშინ რატომ არ უნდა დაენიშნოს ღირსეული პენსია იმ დედაებს, რომლებმაც შვილები გამარდეს და რატომ არ უნდა შეეღებს მათ მიერ შეიღების გაზრდის მიზნით დახარჯული შრომა და წლები საპენსიო სქემებში?

გენდრული თვალსაზრისით მიზანშეწონილია ისეთი საპენსიო სქემების შემუშავება, რომელიც ქალის მიერ შვილების გაზრდის პერიოდს სამუშაო სტაჟში ჩაუთულის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის გზით კერძო საპენსიო სქემებში მონაწილეობასაც უზრუნველყოფს. ასეთი საქმიანობა მრავალ ქვეყანაში წარმატებულა და მიმდინარეობს მისი სრულყოფა.<sup>73</sup> ამ გამოცდილების გამოყენებით და ადაპტირებით საქართველო მნიშვნელოვნად წინ წაიწეოს დემოკრატიისა და სამართლიანი საზოგადოების მშენებლობაში.

### 4.3. სახელმწიფო ინტარვენციები უმუშევართა დასაქმებაში

უმუშევრობა საქართველოში უმწვავესი სოციალური პრობლემაა. უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, აგრეთვე უმუშევრებში ყველაზე მაღალი წილი უმაღლესი განათლების სპეციალისტებს უკავიათ. მათ წილად მოდის უმუშევართა საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი. ამასთან, უმუშევრებში უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა აღემატება საშუალო და საშუალოზე დაბალი განათლების მქონეთა ერთობლივ რაოდენობას.<sup>74</sup>

2005-2008 წლებში ქალთა უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია კაცებთან შედარებით. ამ პერიოდში მართალია შემცირდა საბაზო ზოგადი განათლების მქონე ქალთა წილი მთლიან უმუშევრებში, მაგრამ გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე ქალთა უმუშევრობა. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა კაცებშიც.

ცხრილი 6

უმუშევართა განაწილება განათლების დონის მიხედვით (წილი მთლიანად უმუშევრებში, %)

	2005		2006		2007	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დაწყებითი ზოგადი	0.1	0.3	0.1	0.3	0.1	0.0
საბაზო ზოგადი	1.0	3.5	1.6	3.1	1.8	3.1
საშუალო ზოგადი	11.0	20.9	9.2	22.4	11.3	20.5
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	3.8	4.6	3.4	3.7	1.8	2.1
საშუალო პროფესიული	10.0	3.8	9.0	7.1	10.0	6.9
უმაღლესი	17.0	21.9	16.4	23.5	20.0	22.4
სულ	43.0	57.0	39.7	60.3	44.9	55.1

წყარო: ქალი და კაცი საქართველოში, (2008), გვ.47.

73 მაგალითად, საშრიუს, კორეაში, აშშ-ში, კანადაში და სხვ. ქვეყნებში. საქართველოში მათი გამოცდილების გაზიარება საკვლავურ შესწავლას ითვალისწინებს.

74 2002 წლის სოციალური აღწერაში აქვია, რომ საქართველოს უროვნულ სკენდინავიაში დასაქმებულთაგან მხოლოდ 12 პროცენტს საქმიანობდა თავისი უმაღლესი განათლების შესაბამისი პროფესიაში და სპეციალისტად.

ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მთავრობამ უმუშევრობის დონის შესამცირებლად გადადგა, იყო 2006 წლის მეორე ნახევარში განხორციელებული დასაქმების პროგრამა, რომლის ამოცანას შეადგენდა 50 ათასი აღამიანისთვის შრომის ბაზარზე შესვლისა და დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა. ოფიციალური მონაცემებით, მეწარმეთა მხრიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა შედარებით დაბალი კვალიფიკაციის შემდეგ პროფესიებზე ჩოდოდა: დამლაგებელი, დასუფთავების სამსახურის მუშაკი, სადამბლევო აგენტი, სარეკლამო აგენტი, დისტრიბუტორი, დაცვის თანამშრომელი, მაღაზიის გამყიდველი, მიმგანი, გადამზიდველი და პრესის დისტრიბუტორი.<sup>75</sup>

ამ პროგრამის განხორციელების შედეგად უაქტიურად შრომის ბაზარზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მას უფრო უმუშევრებისათვის მორალური მხარდაჭერის ფორმა ქონდა. ინიციატივა მოკლევადიან დასაქმებას და ბენეფიციარების სამთვიანი სტიპენდიით მრუნველყოფას ემსახურებოდა და ნაკლებად იყო გათვლილი ახალი პროფესიული უნარ-ჩვევების გამოუმუშავებამდე. პროგრამას საქველმოქმედო აქციას ჰგავდა და პროფესიული მომზადების ან დასაქმების რეალური შესაძლებლობები არ ჩამოყალიბდა.

შემდგომში შეიძლება დამოკიდებულება და წარმოიშვა ახალი ინიციატივა, სამთვიანი ანაზღაურებადი დასაქმების ნაცელად დაიგეგმა შეღავათიანი კრედიტების გაცემა მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე. იგი ითვალისწინებდა კრედიტების გამოყოფას ტურიზმის სფეროში იმ დამსაქმებლებისათვის, რომლებიც განავითარებდნენ ამ სფეროს და დასაქმებდნენ სამუშაო ძალას. პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ არა უმუშევრები, არამედ ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სფეროს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომელთაც ხუთწლიანი სესხის ასაღებად ხელისუფლებისათვის უნდა მიემართათ. მისი აღმინისტრირება კომერციულ ბანკს ევალებოდა. კომერციული ბანკი ღებულობდა გადაწყვეტილებას სესხის გაემის შესახებ. პარალელურად მსხვილი სესხების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. ეს პროგრამაც დროებითი ინტერეცია იყო შრომის ბაზარზე, რომლის შემოქმედება დასაქმებაზე გაილევით უფრო ეფექტური იყო, ვიდრე წინა პერიოდში განხორციელებული პროგრამა.

მეორე პროგრამა 2007 წლის მაუხულში დაიწყო და იმავე წელს არ დასრულებულა შემოდგომაზე პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების გამო. ის დასრულდა 2008 წლის დასაწყისში, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მას არ მოჰყოლია. 2009 წლის დასაწყისში რუსეთთან ომის შედეგად ლტოლვილების ნაკადის გამო შრომის ბაზარზე მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

- საქართველოში შრომის ბაზარი ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია და უკიდურესად დაბალეფექტიანია. იგი სეგმენტურია, ახასიათებს ამკარა გენდერული ასიმეტრია.
- დასაქმების სფეროს სახელმწიფო რეგულირება ემბრიონულ მდგომარეობაშია. გაუქმდა უმუშევართა რეგისტრაცია და ისინი აღმოჩნდნენ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, რის შედეგადაც, ხანგრძლივი უმუშევრობის განვითარების გამო, ვაიზარდა იმის რისკი, რომ ისინი დროთა განმავლობაში მიემატებიან უღარიბეს ფენებს.
- ცნობილია, რომ ქალს სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ ნაკლები შანსი აქვს სელმეორედ დასაქმებისა და ძირითადად შინამეურნეობაში საქმდება. არსებული სოციალური ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო აფერსებას მათი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს მამაკაცებთან შედარებით. რას

75 <http://www.government.gov.ge/mlavroba115HH3B227.php>.

სთავაზობს სახელმწიფო მათი სამუშაოდან განთავისუფლების სანაცვლოდ? რა სახელმწიფო ღონისძიებები არის გათვალისწინებული, რომ ქალებმა შეძლონ პროფესიული მომზადების სრულყოფა ისე, რომ თანაბარი კონკურენცია გაუწიონ მამაკაცებს? ამ კითხვებზე პასუხს სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკა არ იძლევა. სახელმწიფო ბიუჯეტში გაუქმებულია მესლი უმუშევართა გადამზადებისათვის, რის შედეგადაც შრომის ბაზარზე უმუშევრები სახელმწიფოს დროებითი ინტერვენციების იმედად დარჩნენ.

- ლიბერალური ეკონომიკური მოდელის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება თავის თავზე არ უნდა იღებდეს მოსახლეობის დასაქმებას ბიზნეს-სფეროში; მისი აქტიურობა დასაქმების ზრდაზე უნდა გამოიხატებოდეს გამართული საკანონმდებლო ბაზისა და ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნაში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამასთან, სახელმწიფომ დასაქმების შემუშავებაში უარყოფით როლს ითამაშა მისი შეკვეთით განხორციელებული კერძო სტრუქტურების და ინსტიტუტების კულევები, დასკვნები და რეკომენდაციები. ამ მიზნით მიმხანძრავდა მომზადებისა და გადამზადების შესახებ გენდერების გამოცხადება და კერძო ინსტიტუტების ჩართვა ამ პროცესებში.
- არ შეიძლება უარი ეთქვას უმუშევართა დახმარების პროგრამებს. ამ თვალსაზრისით, როდესაც საქართველოს "შრომის კოდექსი" არ აწარმოებდა დახმარებას უმუშევრების კომპენსაცია გაცილს სამუშაოდან განთავისუფლებისათვის, სახელმწიფომ უნდა იკისროს საკანონმდებლო ვებით იმ ინსტიტუტების თორმირება, რომლებიც დაეხმარებიან განთავისუფლებულ მუშაკებს დასაქმებაში, მათ გადამზადებასა და დახმარების გაწევაში.
- ფაქტობრივად ჩამოსაყალიბებულია უმუშევართა გადამზადების ქმედითი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დასაქმების ზრდას, პირველ რიგში. ახალგაზრდობაში, სადაც ეკონომიკურად აქტიური კონტინგენტი ყველაზე სუსტადაა გამოყენებული, ხოლო უმუშევრობის დონე ორჯერ აღემატება საშუალო ქვეყნისმიერ მაჩვენებელს.
- სტრუქტურული უმუშევრობის დაძლევის ერთერთი ცენტრალური მიმართულება უნდა გახდეს დანგრეული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის რეაბილიტაცია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების რეალიზაცია.
- საეკონომიკური ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბი და უმუშევართა ოჯახების ფენების შეილებების პროფესიული განათლებისადმი ხელმისაწვდომობას, რაც არის პირობა ამ ოჯახების ლიდარიზიდან გამოსაყვანად. ამ მიზნით აუცილებელია რეფორმები პროფესიული განათლების სფეროში, რომელიც დღესდღეობით ვერ ამზადებს მაღალ პროფესიულ კადრებს და პროფესიული გამოცდილების მიღება ძირითადად ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანი დასაქმდება კონკრეტულ სამუშაო ადგილზე.
- საქართველოში პროფესიული გადამზადება მხოლოდ ურავმენტული, დროებითი და კამპანიური ხასიათი აქვს, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხადდება პრობლემების პროგრამა. სამუშაოდან დათხოვნილნი, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებიდან, კომპენსაციას არ ღებულობენ (განსხვავებით უმეტესი განვითარებული ქვეყნებისაგან). ამ თვალსაზრისით გენდერული სურათი კიდევ უფრო მძიმეა. ქალების დაბალი ანაზღაურება მამაკაცებთან შედარებით არის მათი განათლებისა და დაბალმწარმოებლური შრომის შედეგი. ამ მიზნით აუცილებელია ქალთა გრადუინგებისა და უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.
- რამდენადაც არ არსებობს შრომის ბაზარზე სახელმწიფო ინტერვენციების მე-



ფასებისა და მონიტორინგის გენდერული მექანიზმში, ამიგომ არ შეეციდინა გენდერული სურათის გარკვევა. შრომის ბაზრის გენდერული სტატიკისტიკის შექმნა უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად.

- სოციალურ პოლიტიკის მთავარ მიმართულება უნდა იყოს ადამიანის შრომითი პოტენციალის აქტივიზაცია, რაც შეიძლება მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებით განხორციელდეს.
- სამეწარმეო სფეროში გასაანალიზებელი იქნება ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომია კრედიტები შინამეურნეობებისათვის, რამდენად ეუქეტიანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში, კრედიტების როლი და გავლენა დასაქმებაზე და ისღარობის დასაძლევამი.<sup>76</sup>
- მიზანშეწონილია მიკროდაფინანსების სქემებში სახელმწიფოს მონაწილეობა. ასეთი მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია, განვითარებს მცირე ბიზნესს და ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე უმუშევრობის შემცირებას. ამათან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროგრამები გენდერულად ძალიან მგრძობიარეა.
- მრავალ ქვეყანაში შემოღებულია დახმარების ისეთი სახე, როგორცაა კრედიტები ბაეშეებსა და დედებს, რაც ხელს უწყობს ოჯახების განვითარებას და ქალის ოჯახში დასაქმების საზოგადოებრივ აღიარებას. ასეთი სახის დახმარების აპრობაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს რომელიმე ქალაქში ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მონაწილეობით და მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოხდეს მისი განსოგადება.
- სოფლის ღარიბ მაცხოვრებლებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი კრედიტებისადმი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სახელმწიფო პოლიტიკა უნდა წარმართოს კრედიტებისა და სუბსიდირების სისტემის შექმნისაკერ, სადაც მიწა და უძრავი ქონება გახდება კრედიტების გაყემის გარანტი. სოფლის მეურნეობაში ინვესტირებასა და კრედიტების თანაბრად ყურადღება უნდა გამახვილდეს მარკეტინგულ მოღვაწეობასა და ფასების სტიმულირებაზე. ეს ღონისძიებები უმრუნველყოფენ მოსაქლეონობის მრდასა და ოჯახური მეურნეების განვითარებას.
- სამუშაოროდ, არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ბანკი, სრულყოფილი გენდერულად სეგრევირებული ინფორმაცია სახელმწიფო სექტორში და კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ ერთეულებში დასაქმების შესახებ, თუ რა თანამდებობებზე, რა კვალიფიკაციისა და რა ხელფასი გააჩნიათ ქალს და კაცს. ასეთი ინფორმაცია სავალდებულო უნდა გახდეს თვითეული სახაზინო დაწესებულებისათვის და აისახოს მათ ბიუჯეტში იმისათვის, რომ გამოელინდეს, თუ რამდენად თანასწორია ქალისა და კაცის დასაქმება და ანამლაურება სახელმწიფო სექტორში.
- ადგილობრივი ხელისუფლება მოწოდებულია შექმნას მონაცემთა ბაზა, სადაც შევა მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები, უმუშეართა კვალიფიკაცია, განათლება, მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და სხვ. მან ხელი უნდა შეუწყოს გრეინინგების ორგანიზაციას მცირე ბიზნესში, რესურსული ცენტრების შექმნას რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ისარგებლებს.

76 2008 წელს მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საქართველო ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგში 18-ე ადგილიდან 15-ე ადგილზე გადაინაცვლა კრედიტების აღების ხელმისაწვდომობის მიხედვით, 10-ე მან 28-ე ადგილზე გადავა 2007 წელს ამ პოზიციით 61-ე ადგილზე ვერა. ( [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org)). ორგანიზაციის "The Heritage foundation"-ის უკონსოლიკერი თავისუფლების ინდექსით, 2009 წლის დასაწყისში საქართველო, 179 ქვეყანას შორის, 32-ე ადგილზე იმყოფება. ამ პოზიციით იგი ეწ სამუშაო თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში შედის. თავისუფლების ინდექსი ეწ დისისიბის ბიზნესის თავისუფლებას, ფისკალურ თავისუფლებას, საკუთრების უფლების დაცვას, შრომის თავისუფლებას, კორუფციის ღონეს, მთავრობის მისაწვდომობას უკონსოლიკერი და სხვ. (<http://www.heritage.org/index/Ranking.aspx>).

- მიზანშეწონილად და შესაძლებლად გვესახება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის სულ უფრო მზარდი ნაწილის გამოყენება ქვეყნის ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს წარმართონ წვრილი ვაჭრობა და ხელოსნობა. წყლით მომარაგება მთელ რიგ სოფლებში, განსაკუთრებით სარწყავი წყლის ნაკლებობა. ხელს უშლის საოჯახო მეურნეობის განვითარებას, აკონსერვებს სოფლის ეკონომიკურ ჩამორჩენას ქალაქთან შედარებით. იგივე უნდა ითქვას ენერჯოსისგან მესახეობ, რომელიც ვერ უზრუნველყოფს წყლების ამოგუშვებასა და მიწოდებას. ინფრასტრუქტურის განვითარება მოსახლეობის ცხოვრებისა და კომუნიკაციების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად გაზრდის დასაქმების დონეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ საქმიანობაში დიდია სოციალურად ორიენტირებული ფონდების როლი. ამ მიმართულებით უნდა გაუარტოვდეს საინვესტიციო ფონდების ფორმირება.
- ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდების დასაქმებასა და ვართობას. ხელისუფლების დახმარებით ახალგაზრდობის დროებითი (სტუდენტური) სამუშაოებით უზრუნველყოფას.
- საქართველოში შეიქმნა მოსახლეობის განსაკუთრებული ფენა, ე.წ. “მიწის მუშები”, რომლებიც აქირავენ თაყვანს სამუშაო ძალას და ამუშავებენ სხვის მიწებს. ისინი გადაადგილდებიან სოფლიდან სოფელში ან ქალაქში სამუშაოს საძებნელად. მათი თავმესაფარია ევაზლები, ბაზრები და ა.შ. არ გააჩნიათ არავითარი ინდივიდუალური და სოციალური დაყრდნობა. მათი შრომის უსაიმედოდ დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს მათ წყლით, ელექტროენერჯით, სამედიცინო მომსახურებით. მათ ხშირად საცხოვრებელი ბინაც კი არ გააჩნიათ და ძალიან დიდია სხვადასხვა ავადმყოფობების გავრცელების საშიშროება. დასაქმებულთა ამ ფენებისათვის დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა ან კიდევ “საინფორმაციო ცენტრის” ფორმირება ხელს შეუწყობდა სამუშაოს მძებნელთა მიზნობრივი გადაადგილების რეგულირებას ქვეყნის ტერიტორიაზე.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა დიდ როლი შეიძლება შეასრულონ განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ხანდაზმულების მოვლა-პატრონობა, ინვალიდების სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ვარემოს დაცვა, სოციალური ობიექტების აღდგენა, სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოების წარმოება, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რემონტი და ა.შ. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამები დიდ სტიმულს მისცემენ კერძო სექტორის აქტივობას. ამ პროგრამებში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მართვის ორგანოებიც, რამეთუ ექნებათ პასუხისმგებლობა დროებითი სამუშაო ადგილების განხორციელებაზე.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის  
გენდერული ინიციატივა**

2008 წლის 4 დეკემბერს ლონდონში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სათაო ოფისში გაიმართა შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მონაწილეობასღებულთაგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ლონდონის აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, გენდერული პრობლემების ექსპერტები სერბიიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, გერმანიიდან, საქართველოდან და დიდი ბრიტანეთიდან.<sup>77</sup> ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინიციატივა და გენდერული მიდგომების ინტეგრირება ბანკის საქმიანობაში განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური კრიზისის ფონზე, როდესაც

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და ადამიანური კაპიტალის უზარისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას. აღნიშნულ შეხედრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ამ მიმართულებით წლების განმავლობაში პოსტგრანზმიტულ ქვეყნებში მუშაობა არაუფექტიანი იყო. ეკონომიკის გრანზფორმირების პროცესში მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შრომითი შესაძლებლობების რეალიზაციის არახელსაყრელი პირობები შეექმნა. ეს ეხება განსაკუთრებით ქალებს, რაც მნიშვნელოვნად აისახა მათ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე.

ქალთა ეკონომიკაში აქტიური მონაწილეობის სტიმულირება, ინვესტიციების გაზრდა ქალთა სამეწარმეო განვითარებისათვის ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორში შრომის ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის ზრდას. როდესაც ქალებს პროფესიული განათლების, ტრენინგებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები ეძლევათ, კომპანიები თამამად ახდენენ სამუშაო ძალის დივერსიფიკაციას. კვლევებმა აჩვენეს, რომ კომპანიებში ქალთა მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშნვა ხელს უწყობს კომპანიის მენეჯმენტის სრულყოფას, პროდუქციის წარმოების გაუმჯობესებასა და წარმატებული ბიზნესის განხორციელებას.<sup>78</sup>

შეხედრებაზე გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის შემდგომი საქმიანობის პროცესში. კერძოდ, საკრედიტო პოლიტიკის გადასინჯვა, მიზნობრივი საკრედიტო ხაზის გამოყოფა ქალებისათვის, რაც გაზრდის ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობას მოსახლეობის დაუცველი ჯგუფებისათვის; მცირე ბიზნესის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შეამცირებს უმუშევართა რიცხვს ქვეყანაში; ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადებას საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე; უცილებელია ადგილობრივი ბაზრის მხარდაჭერა, რათა მეწარმეს სამუალება პქონდეს წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს ნაკლები დანაკარგებით. ასევე ყურადღება მიექცა ღონისძიებებს, რომლებიც დაანაკარგების და გამჭვირვალობის გაზრდას, პროექტების დაგეგმვისას, ინვესტირებისას წინასწარი გენდერული ექსპერტიზის ჩატარებას.<sup>79</sup>

78 Addressing Gender Issue in EBRD Operation: Analysis and proposed Action Plan, (2008), p.7

79 [www.ebrd.com/oppo/ngo/new/index.htm](http://www.ebrd.com/oppo/ngo/new/index.htm)

# განათლების სფეროს განდერული ასპექტები

*ინვესტიციების გამზრდა განათლების სფეროში  
ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი  
სტრატეგია უნდა გახლეს.*

## 5.1. განათლების სექტორის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში განათლების სისტემა მოიცავს სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საუბურებს. ზოგადი განათლება მოიცავს დაწყებითი და საშუალო განათლების სკოლებს, პროფესიული განათლება – დაწყებით და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებს, სპეციალიზირებულ სკოლებს. უმაღლესი განათლების სისტემა კი გულისხმობს წინასაღიპლომო, საღიპლომო და დიპლომისსემდგომ განათლებას.

2004-2005 წლებში დაწყებულმა რეფორმებმა ძირეული ცვლილებები შეიტანა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლესი განათლების სისტემაში:

- შემოღებული იქნა 3-საუბურიანი 12 წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება;
- გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები და შემოღებული იქნა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თანაბარი შესაძლებლობებისა და სასწავლო პირობების შექმნას უმაღლესი განათლების მიღებაში, თანასწორობის დამყარებას სახელმწიფო დაფინანსებაში, მოსწავლეთ შეუასებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები პირობების გამოთანაბრებაში (განსაკუთრებით რეგიონებსა და ქალაქს შორის);
- შეიქმნა რესურს-ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლებს ასალი უნარ-ჩვევების მქონე სათანადო სპეციალისტებითა და სხვა რესურსებით, აწარმოებენ მასწავლებელთა მომზადებასა და გადამზადებას;
- ზოგადი განათლების შესახებ ახალმა კანონმა გააქტიურა მშობელთა და მოსწავლეთა ინსტიტუტების როლი სკოლების მართვაში, ხოლო უმაღლესი განათლების შესახებ კანონმა კი უმაღლესი სკოლა დაუახლოვა ევროპულ სტანდარტებს და გააუქმა საბჭოთა პერიოდისა და შემდეგ დროებით მიღებული ასპირანტურა, სამეცნიერო ხარისხის ორსაუბურეანი სისტემა და შემოიღო ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და სადოქტორო განათლების საფეხურები.

2004 წელს დაწყებული რეფორმების შედეგად მოხდა საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია და იმ პირობების გაუქმება, რომელიც იწვევდა არსებობდა საბჭოთა პერიოდისა და მოყოლებული. ამ რეფორმებმა შეიტანა გარკვეული ცვლილებები იმ ტენდენციებში, რომელიც გამოწვეულია სიღარიბის მასშტაბებით, თუმცა ჯერ კიდევ მწვავეა განათლების ხარისხისა და განათლებისადმი ყველა სოციალური ფენის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა.

## 5.2. საბანკანათლებლო სისტემის განდერული პრობლემები სკოლამდელი განათლება

1990-2008 წლებში სკოლამდელი განათლების სისტემაში განსაკუთრებით შემცირდა ამ საუხესურის დაწესებულებები. 1990-2000 წლებში 2-ჯერ შემცირდა სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა, ხოლო მასწავლებლების რაოდენობა კი – თითქმის 3-ჯერ. ეს გენდენცია გავრძელდა შემდგომ წლებშიც.

ყოველ მუნიციპალიტეტში უუნქციონირებს სხედასხეა საუფებურის სასწაელო დაწესებულებები. ზოგიერთ მათგანში მუნიციპალიტეტები აუინანსებდნენ უნივერსიტეტებსაც. თუმცა უინანსების სიმყირის გამო მუნიციპალიტეტის მიერ უნივერსიტეტების დაუინანსება ვერ უზრუნველყოფდა მათ კონკურენტუნარიანობას და გამოშვებული სპეციალისტები კი ვერ აკმაყოფილებდნენ ბაზრის მოთხოვნებს. ამდენად, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო ხარჯები იყო არაეფექტიანი.

განათლების საშუალო სპეციალური სასწაელებლების დაუინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან, ისევე როგორც სხეა საგანმანათლებლო დაწესებულებების დაუინანსება, დაუშნებული იყო “დანახარჯების პრინციპზე” და იგი არ იყო მიმართული პირდაპირ სტუდენტების დაუინანსებაზე ცოდნის მისაღებად. ასეთი პრაქტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებებს აძლევდა შემოსაელების მიღების გარანტიას მიუხედაეად იმისა, ხარისხიანად უზრუნველყოფდა ეს დაწესებულებები მაღალი სტანდარტების საგანმანათლებლო მომსახურებას თუ არა.

მიზანშეწონილია, მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაუინანსება წარმართოს სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ეროვნული გამოცდების შედგეად წარმატებული სტუდენტების ხელმესაწყობად და ნაცვლად საგანმანათლებლო დაწესებულებების სუბსიდირებისა, დაუინანსდეს უშუალოდ სტუდენტები (მუნიციპალური ეაუჩერთ ან სტიპენდიით), რომელსაც ისინი წარადგენენ იმ უნივერსიტეტსა ან საშუალო სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც ისინი მიღებენ უკუთეს განათლებას. ასეთი პრაქტიკა შექმნის ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაუინანსების კონკურენტულ პირობებს და გაზრდის მათ პასუხისმგებლობას.

ვენდერულ ასექტში მიზანშეწონილია იმის ცოდნა, თუ რამდენი გოგონა და ეაიცი ღებულობს პროფესიულ განათლებას და ხომ არ დარჩა რომელიმე ასალგაზრდა პროფესიული განათლების ვარემე? იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადგილობრივი შრომის ბაზრის სტრუქტურას და ზემოქმედებს შინამეურნეობების განვითარებაზე. როდესაც გოგონები რჩებიან პროფესიული განათლების ვარემე, ისინი სამუდამოდ მიეჯაჭვებიან საოჯახო საქმეებს, რაც მნიშვნელოვნად აუერხებს მათ შედგომ სრულყოფასა და სამოქალაქო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტების ერთ-ერთი პრიორიტეტია საბაემეო ბაგა-ბალების მოვლა-პატრონობა და განვითარება. საბაემეო ბალების საქმიანობის ეუექტიანობის მაჩვენებელია აღსაზრდელთა და აქ დასაქმებულთა რაოდენობა და მათზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა. ამასთან, შრომის ბაზრის და დასაქმების ვენდერული სტრუქტურის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ გეარკეთით, თუ რამდენად სარგებლობს ბაღა-ბაგის მომსახურებით დასაქმებული ქალები, რამდენად საკმარისია ბაგა-ბალების რაოდენობა, არის თუ არა ბაგა-ბალების საქმიანობა დაეემორებული ქალების

მინამეურნეობებში დასაქმებასთან. საბავეშო ბაგა-ბალებზე მოთხოვნა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ მას ნაწილობრივ მუნიციპალიტეტი აუინანსებდეს სუბსიდირების ფორმით და ამ სარგებელს იმ ოჯახის შვილებზე ლეზულობდნენ, რომელთა მშობლებიც არ არიან დასაქმებულნი საზოგადოებრივი საქმიანობით. ამ უკანასკნელი გარემოების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია მუნიციპალური თანხები გამოეყოს მცირეწლოვანი ბავშვების დედაებს დახმარების სახით, რაც ბაგა-ბალების დაფინანსებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. ის, თუ რომელი მიდგომა იქნება უფრო ეფექტიანი, მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების გამოვლენით შეიძლება დადგინდეს.

მუნიციპალური ბიუჯეტის ეფექტიანი განაწილებისათვის საჭიროა იმის ცოდნაც, მონაწილეობს თუ არა დამპირავებლები საბავეშო ბალების დაფინანსებაში და არის თუ არა ეს წყარო აქტიურად გამოყენებული? ყოველივე ამ კითხვის მიღმა გენდერული სურათი ელინდება და ქალების სოციალური მდგომარეობა ამკარაუდება.

## **პრობლემა 5. ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა.**

მუნიციპალიტეტებში უწყიციონირებს საავადმყოფოები და პროფილაქტიკური დაწესებულებები, მაგრამ მათ არ ვააჩნიათ საკუთარი სამედიცინო დაწესებულებები. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მხოლოდ ისეთი პროგრამული მიზნებისათვის არის გათვალისწინებული, როგორცაა შეჭირებული მოსახლეობის სტაციონალური მკურნალობის პროგრამა, ინფექციურ დაავადებათა გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამა, შეჭირებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, სამედიცინო ტექნიკის შეძენა-განახლების პროგრამა, ალკოჰოლისა და ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებათა პროგრამა, სანიტარული ზედამხედველობის პროგრამა და სხვ.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი 2006 წლის პირველი ივლისიდან შევიდა ძალაში. კომპონენტის სამედიცინო მომსახურების სფეროებია: მობილურ საეკიპაჟითა ბრიგადები, სტაციონალური სამედიცინო მომსახურება, ოჯახის ექიმის, უბნის ექიმის, უბნის პედიატრის მომსახურება, ინტერმენტალურ-ლაბორატორიული გამოკვლევები, გადაუღებელი სტაციონალური მომსახურება, სამედიცინო მომსახურება, საეკიპაჟითა კონსულტაცია, გეგმიური ქირურგიული სტაციონალური მომსახურება. ამ მიზნით გაიცემა სამედიცინო პოლისები რომლებიც დაფინანსებული იქნებიან სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტიდან.

იმის ანალიზი, თუ რამდენი ქალი და მამაკაცი ლეზულობს მომსახურებას გამოყოფილი თანხების ფარგლებში, რამდენია მათი ხედვრითი წილი ქალაქის მოსახლეობაში და რამდენ ადამიანს სურდა მიეღო მომსახურება, აელენს ამ რესურსებისადმი ხელმისაწვდომობას გენდერულ ასპექტში და შესაბამისად ადგილობრივ ხელისუფლებას სამუალებას მისცემს დაგეგმოს ის პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ ხელმისაწვდომობას სამედიცინო მომსახურებისადმი. მუნიციპალური ბიუჯეტების მონაწილეობა სადამდეგო სისტემაში პოლისების განაწილებას გახდის მიზნობრივს და გენდერულად მგრძობიარე მრავალი ჯანდაცვის პროგრამის ეფექტიანობა გაიზრდება.

## **პრობლემა 6. სოციალური დაცვის დაბალი ეფექტიანობა.**

იღარიბის მაღალი დონე განაპირობებს სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების დაბალეფექტიანობას. იგი ვერ მოიცავს ყველა სოციალურად დაუცველ ფუნას. დახმარებებისა და შეღწეობების გაცემა ვერ უზრუნველყოფს მათი სიღარიბის საზღვრებიდან გამოყენებას. მთლიანობაში მუნიციპალიტეტიდან გამოყოფილი თანხები მოიცავს სიღარიბის საზღვრებს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტს.

მოსახლეობის სოციალური დაცემა უნანსდება როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე მუნიციპალური ბიუჯეტიდან. მუნიციპალური ბიუჯეტიდან სოციალური დაცემა-სადაცის გამყოფილი თანხები შეადგენს ხარჯების არანაკლებ 3 პროცენტს (ჯანდაცვის პროგრამებზე კი - არანაკლებ 5 პროცენტს)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიებიდან გაცემული სოციალურ დაცემაზე დანახარჯების მესიუ შეიყავს:

- ელექტროენერჯიაზე და კომუნალურ მოსახურებაზე შედაყათებს, მგზაერობას საქალაქო ტრანსპორტით, ოჯახურ დახმარებებს, მარტოსელა ღელდის, ახალ-გაძრდა ოჯახების, ობოლი ბავშვების, უპატრონო ბავშვების, ხანდაზმული ასაკის აღმიანების და სხვა დახმარებებს;
- სოციალური დაცეის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სხეადასხვა კანონით გათვალისწინებულ შედაყათებს;
- სასმელი წყლის და კანალიზაციის ღირებულების გადასახადს;
- ელექტრო კაემირის ღირებულების გადახდაზე შედაყათებს;
- მრავალშეილიანი ოჯახების წახალისების ხარჯებს და ყოველთვიური დახმარებებს მარტოსელა ღელდებზე და ყოველ ასალმობილზე ერთჯერად დახმარებას;
- ხანდაზმულ უხუცეს პენსიონერთა ერთდროულ მაგერიალური დახმარებას;
- მმობლების მზრუნეელობას მოკლებული სასკოლო ასაკის მომრდებისათვის მაგერიალურ დახმარებას და სხვა.

მუნიციპალური ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) ძირითადი უენა ქალებია, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ იმით, რომ ეკონომიკური სტრუქტურის გამო დასაქმებულთა ძირითადი გვირთი მოდის მამაკაცებზე, ქალები კი ქმნიან ძირითად მოთხოვნას სოციალური დახმარების მისაღებად და უზრუნველყოენ ოჯახის შემოსაელების დაცეას. ამასთან, ისინი არიან ყველაზე დაუცველი უენა, რომლებიც მიმართავენ მუნიციპალიტეტს დასახმარებლად. ამ გარემოების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ქალების დასაქმების შემწეობი ინურასტრუქტურითა და შესაბამისი განათლებით უზრუნველყოფა.

**პრობლემა 7. ინფრასტრუქტურის განვითარება**

საქართველოში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი პრობლემაა მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით, სუუთა პაერთ, გზებითა და სანიტარული ქსელით. ინფრასტრუქტურის მშენებლობა უნდა ემყარებოდეს ნორმატივებსა და სტრატეგიულ მიზნებს. მავალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეუასებით, წყლის მიწოდება უნდა ეუუქნებოდეს შემდეგ რაციონალურ ნორმებს.<sup>100</sup>

საბუნებელი	წყლის მოხმარება	რისკი ჯანდაცვაში	პოლიტიკის პროორატივი
ძალიან დაბალი მოხმარება	ღლეში 3ლ. მოსახლეობის ერთ სულზე	ძალიან მაღალია	სახმისო დინის მოქვეყნება, მოსახლეობის პიტიუბის განვითარება
სახმისო მოხმარება	ღლეში საშუალოდ 25ლ. მოსახლეობის ერთ სულზე	მაღალი, მრდება რეცხვის პრობლემები	პიტიუბის განვითარება, შესაბამისი სერვისის ხელშეწყობა
საშუალო მოხმარება	ღლეში საშუალოდ 50ლ. მოსახლეობის ერთ სულზე	დაბალი, პერიოდულად მიღება რეცხვის პრობლემები	პიტიუბის სერვისის ოპტიმიზაცია
მატიმალური მოხმარება	ღლეში საშუალოდ 100-200ლ. მოსახლეობის ერთ სულზე	ძალიან დაბალი	პიტიუბისაგან მიღებული სარგებლობა

100) Water for life: Making it happen (2006). W/HO/UNICEF Joint monitoring programme for Water and sanitation p.27 Available at: [http://www.wssinfo.org/en/40\\_wfl\\_2005.html](http://www.wssinfo.org/en/40_wfl_2005.html).

საქართველოში სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა არსად არ აღწევს ოპტიმალური მოხმარების დონეს. უმრავლეს რეგიონში იგი მხოლოდ საბაზისო მოხმარების ტოლფასია, რაც თავის მხრივ, წარმოშობს პიკეტაჟს და სერვისების პრობლემებს. ამასთან, წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად დაბალია.<sup>101</sup> ეს კი ძირითადად პრობლემებს უქმნის ქალის შრომას ოჯახში.

## **პრობლემა 8. ქალაქის სტრატეგიული დაგეგმვა და ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება.**

მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმა. მართალია ამ მიმართულებით გადადგმულია პირველი ნაბიჯები და ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის მოუწესრიგებელი ურთიერთობები და განსაკუთრებით კი ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტს უხდება ფინანსთა სამინისტროსთან თავისი გეგმების შეთანხმება, ხელს არ უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებელი ინიციატივების განვითარებას.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სავადასახადო შემოსავლების (ქონების გადასახადი) აღმინისტირდება ცენტრალური სავადასახადო უწყების მიერ. მართალია, ადგილობრივი მმართველობა სისტემატურად ღებულობს ინფორმაციებს გადასახადების მოზიღებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შემოსავლების პროგნოზირებისათვის არ გააჩნიათ საკმარისი ინსტიტუციონალური ბაზა (მაგალითად, შრომის ანაზღაურების სისტემის ცელილებები), რის გამოც ხარჯების დაგეგმვაში მნიშვნელოვნად დამოკიდებული ხდებიან ცენტრალურ სამინისტროზე. ამ პირობებში კი საკრებულოს მკაცრ-გროლებელი როლი და ადგილობრივი ინიციატივა უმეზღვეულია.

ეს გარემოება აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტს ამტკიცებს საკრებულოები, რომლებსაც მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ უხდებათ ხარჯების გვერდის აღიარება ანუ, მას შემდეგ, რაც იგი ფინანსთა სამინისტრომ უკვე მოიწონა.


ადგილობრივი ხელისუფლების განვითარებისათვის და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებისათვის ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობების მოწესრიგება და საბიუჯეტო უფლებამოსილებების გამოჯენა არის აუცილებელი, რათა ადგილობრივი ინიციატივები უზრუნველყოფილი გახდეს შესაბამისი ფინანსური რესურსებით. ამასთან, ქალების აქტიური როლი უნდა გაიზარდოს საკრებულოში, რაც დამატებით ინსტიტუციურ ძალაუფლებას მინიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

სტრატეგიული დაგეგმვის საწყისი პუნქტია ადგილობრივი მოთხოვნილებების შესწავლა. მასზე უნდა აიგოს ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა და განხილვა. იგი უნდა იყოს სათანადოდ უზრუნველყოფილი ფინანსებით. საქართველოს ადგილობრივი ფინანსების წილი კონსოლიდირებულ ბიუჯეტში კი კვლავ უმნიშვნელოა, რაც ადგილობრივ თვითმმართველობას არ აძლევს საშუალებას გაზარდოს თავისი ინსტიტუციური და ეკონომიკური ძალაუფლება.

101 2005 Environmental Sustainability Index. Benchmarking National Environmental Stewardship Appendix B. Country Profiles. p.153. Yale Center for Environmental Law and Policy, Yale University; Center for International Earth Science Information Network, Columbia University; World Economic Forum, Geneva, Switzerland; Joint Research Centre, European Commission. Available at: [www.yale.edu/esi](http://www.yale.edu/esi)



ადგილობრივ ბიუჯეტებში ტრანსფერების (გრანტების) წილი ქვეყნების მიხედვით



წყარო: <http://www.oecd.org/dataoecd/39/16/37412344.xls>, [http://resources.worldbank.org/INT/SRF/Resource/WBI/DFISummarycharts/17\\_Aug2004.doc](http://resources.worldbank.org/INT/SRF/Resource/WBI/DFISummarycharts/17_Aug2004.doc)  
 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით.  
 შესამუშავა: მასტახაძეთა ქვეყნების მანუქნებლური განვარდნებელი მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით.

ბიუჯეტის დაჯგუფების ერთ-ერთი არსებითი მხარეა პრიორიტეტების გამოყოფა. ყველა ქალაქს აქვს თავისი ძირითადი პრიორიტეტები. ეს შეიძლება იყოს საბინაო-კომუნალური მეურნეობა, დასვენების ორგანიზაცია, კულტურა და სპორტი და სხვ. ეს პრიორიტეტები განსხვავებულია დროში.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდლებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუნიციპალური ბიუჯეტები ნაკლებად ორიენტირებულია ხანგრძლივადიანი სოციალური საკითხების გადაჭრაზე. ის, თუ რა იქნება 3 წლის შემდეგ და როგორ შეიცვლება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სურათი, დღესდღეობით არ განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ. მუნიციპალური ხარჯები მიმართულია მხოლოდ მოკლევადიანი ამოცანების გადასაწყვეტად.

დინამიკაში ხარჯების შეფასება საშუალებას იძლევა განესაზღვროთ, თუ რა იყო, რა არის და რა შეიძლება იყოს მომავალში. ასეთი მიდგომა გამოაჯგუფებს იმას, თუ რა შეძლო მუნიციპალიტეტმა და რაში სჭირდება მას თანადაგომა, როგორ შეიცვალა სოციალური ვარემო და რამდენად განვითარდა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური ფუნქციის ცხოვრება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ეს პრობლემები არის მხოლოდ ნაწილი იმისა, რომელიც საქართველოში მუნიციპალიტეტების განვითარებას ახასიათებს. ამ პრობლემებს შორის აუცილებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რომელია მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი პრობლემა, რა რესურსები სჭირდება ამ პრობლემის გადასაჭრელად.

კითხვები, რომლებიც წარმოიშობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დროს არის:

- რა მდგომარეობაშია ადგილობრივი სტატისტიკა და ინფორმაციული ბაზა და რა უნდა გაკეთდეს მისი სრულყოფისათვის და იმისათვის, რომ გვექონდეს გენდერულად დისაგრეგირებული/დანაწევრებული სტატისტიკა?
- რამდენად ნათლად არის გამოკეთილი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და არის თუ არა იგი უმრავლესყოფილი საქმარის რესურსებით?
- რა კრიტერიუმით ხდება პრიორიტეტების შერჩევა? ვისი პრეროგატივაა იგი: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, სამოქალაქო სამოვადოების თუ ქვეყნის მთავრობის?
- როგორ ებრძვის ადგილობრივი ხელისუფლება სიღარიბეს? რამდენად ნათლად არის განაზღვრული და იდენტიფიცირებული სიღარიბის პრობლემები ადგილობრივ ბიუჯეტში?
- არის თუ არა ბიუჯეტში ნათლად გამოყოფილი დედების, ქალთა და სხვა უვნებების ჯანდაცვის პრობლემები?
- არის თუა არა განათლება საყოველთაო და რამდენი ახალგაზრდა არის დარჩენილი პროფესიული განათლების გარეშე? როგორია მათი გენდერული სურათი?
- როგორ ხდება ხანდაზმულთა დაცვა? არსებობს თუ არა მათთვის კლუბების, კვების პუნქტების და სხვა შესაბამისი ინსტიტუტების განვითარების პროგრამები?
- რომელი უნები უფრო მეტად სარგებლობენ სამოვადოებრივი კვებით და რამდენ ღირებულებას მოიცავს იგი?
- რამდენმა ადამიანმა მიღო დახმარება და რამდენად ეფექტურია იგი იმისათვის, რომ გამოვიდნენ სიღარიბის საზღვრებიდან, როგორია გენდერული სურათი?
- რამდენმა ადამიანმა გაიარა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რამდენი იყო მათ შორის ქალი და კაცი?
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს თუ არა საპენსიო ფონდის გაზრდის შესაძლებლობებს?
- არსებობს თუ არა დასაქმების წახალისების შესაძლებლობები ქალებისა და მამაკაცებისათვის და რამდენად არის გათვალისწინებული ბიუჯეტში?
- რამდენი ადამიანი მუშაობს კერძო სექტორში და როგორია მათი გენდერული თანაუარლობა?

- როგორ მუშაობს მონიტორინგის სისტემა, თუ ჩატარებულა ბიუჯეტის შესრულების შედარებითი ხარისხობრივი ანალიზი და შესწავლილი იქნა თუ არა მისი გავლენა მოსახლეობაზე?

## რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტებში შეიქმნას ინფორმაციული ბაზა, რომელიც გენდერულად დანაწიერებული იქნება და შევა მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები, ოჯახების სტრუქტურა, უმუშევართა კვალიფიკაცია, განათლება, მოთხოვნა სამუშაო ძალაზე და სხვ.
2. აუცილებელია მუნიციპალური ბიუჯეტების პროექტის განხილვა დამტკიცებამდე და დამტკიცების შემდეგ ხელისულების ორივე მგოსა (აღმასრულებელი და საკრებულო) და სამოქალაქო საზოგადოების უარყოფით მონაწილეობით (როგორც მამაკაცების, ასევე ქალების) მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა მოსახლეობაში.
3. სოციალური დაცვა არის როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითადი ფუნქცია, დღესდღეობით ამ ორ ბიუჯეტს შორის ურთიერთობა საკურონებს სრულყოფას არა მარტო გრანტფერტების სამართლიანობის ასპექტით, არამედ დეცენტრალიზაციის პროცესების თვალსაზრისითაც. სოციალური დახმარების ძირითადი ტვირთი ეკლავ აწევს ცენტრალურ ბიუჯეტს. ადგილობრივი ბიუჯეტების გააქტიურება საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის გზით ეუქტივანს გასდის სოციალურ დახმარებას რადგან ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური საქმიანობის დაფინანსება ნაკლებად ბიუროკრატიული და უფრო მეტად მიზნობრივი და ადრესული იქნება. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია ადგილობრივი და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის სოციალური ფუნქციების გადანაწილება და ადგილობრივი მმართველობის გააქტიურება.
4. ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად უნდა იყოს ჩართული სოციალური დაცვის პროცესში, როგორც მის ორგანიზაციაში, ასევე დახმარების ვაცემასა და მის განსამდგრადში. ამ სფეროში დიდია ადგილობრივი თვების მონაწილეობა ქალების აქტიური როლით. ეს ააცილებს სახსრების არაეფექტიან ხარჯებასა და დახმარების უფრო მიზნობრივი ვახდება. ამ მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს ვადამზადება ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ქალთა ორგანიზაციების ჩართვით, რომ მოეშადონ ადრესული დახმარების განსახორციელებლად. დღესდღეობით ასეთი საქმიანობისათვის თანხები ბიუჯეტში არ არის ვათვალისწინებული.
5. სოციალური ინფრასტრუქტურის ვანვითარება. საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, მომუშავე პერსონალის მაგერიალური დანტერესების უზრუნველყოფა და სხვ. მნიშვნელოვნად აუმკობებს ქალთა დასაქმებას.
6. გრადიციული გენდერული დისბალანსი განსაკუთრებით არის ვამოხატული საქართველოს რეგიონების შრომის ბაზარზე, სადაც შრომითი შესადლებლობები უფრო შეზღუდულია. ქალაქის შრომის ბაზრის შესწავლა და შესაბამისი პროფილის პროფესიული განათლების სრულყოფა ხელს შეუწყობს აღნიშნული დისბალანსის აღმოუხვრას.
7. დასაქმებისათვის უმუშევრებს სჭირდებათ პროფესიული სწავლება იმ ახალ სპეციალობებში, რომელზედაც არსებობს საბაზრო მოთხოვნები. ამ მიზნით რესურსული ცენტრების შექმნა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა გერიონტების ორგანიზებით რომელიც მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მხარდაჭერით ისარგებლებს, ამასთანავე ახალგაზრდების დასაქმება და მათთვის დროებითი (სტუდენტური)

სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად სრულყოფს მუნიციპალიტეტის შრომის ბაზრის სტრუქტურას.

8. რეგიონებში მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა, მათი ეფექტიანობის განსაზღვრა საბუღალტრო საქმიანობის განვითარებაში, ის, თუ რამდენად თანაბრად ხელმისაწვდომია კრედიტები შინამეურნეობებისათვის ხელს შეუწყობს რეალურ სექტორში მუნიციპალიტეტების ძიერ პრიორიტეტების განსაზღვრას.
9. ღიღია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის როლი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგის განხორციელებაში, ბიუჯეტის ტრანსფერენტულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში;
10. სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა თანაბარი წარმომადგენლობით, მათი მომზადება სათანადო კვალიფიკაციით საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობისათვის, გენდერული განათლების სპეციალური პროგრამებით სწავლება თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე მუნიციპალიტეტებში დებატების, მრგვალი მაგიდების ორგანიზება ამაღლებს სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერებას და აქტიუობას.
11. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნებისას გენდერული ბიუჯეტის განხორციელება მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული რესურსების განაწილებასა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში.

## სახელმწიფოს ფინანსური სტრატეგია:

*საქართველოში გენდერული თანასწორობის მაჩვენებელი გაუარესდა. სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმატში გენდერული თანასწორობის გენდერული და მოსალოდნელი სოციალური შედეგები უნდა აისახოს*

### 7.1. საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების ბენდერული ასაქმება

საქართველოში “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და ეკონომიკური რეფორმები: ახალმა სავადასახადო კოდექსმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფისკალური გარემო, შეძირდა სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ინსტიტუტების რაოდენობა და მათი შემოქმედება კერძო სექტორზე, გამარტივდა და ლიბერალური გახდა ბიზნეს-გარემო, განხორციელდა სერიოზული რეფორმები განათლების სფეროში, დაიწყო ახალი პრობითი ურთიერთობების ფორმირება და სოციალური დაყენისა და უზრუნველყოფის სისტემების დანერგვა. სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუციონალურ გარდაქმნასთან ერთად რადიკალურმა ფისკალურმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მკვეთარ ზრდას. ბოლო 5 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 8 ჯერ. ამან შესაძლებლობა მისცა მთავრობას განეხორციელებინა სერიოზული სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციები ქვეყანაში და ეგრუნდ დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე. ეს კი კარგი პირობაა იმისათვის, რომ გაგრძელდეს საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის დამყარება და განმტკიცება.

საქართველოს 2006 წლის ბიუჯეტის სტრატეგიის პრიორიტეტები იყო: თავდაცვა, ენერჯისისგემის რეაბილიტაცია, განათლება, წინა წლებში წამოქმნილი დაეალიანების დაფარვა და საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების მოწესრიგება. 2007 წლის ბიუჯეტი, ხელისუფლების ამრით, უფრო სოციალურად ორიენტირებული იყო. ხარჯების 37% წარმართა სოციალურ სფეროზე: განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, კულტურა, რელიგია. 2007 წელს თავდაცვა სოციალურ სფეროსთან ერთად კვლავ დარჩა მნიშვნელოვან პრიორიტეტად. 2008 წლის 5 იანერის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მმართველი პარტიის საარჩევნო ლომუნეს წარმოადგენდა “ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე”, რომელიც არჩევნების შემდგომი მთავრობის მოკლევადიანი სამოქმედო პროგრამის საფუძველი გახდა.


საქართველოს მთავრობამ სიღარიბის შესამცირებლად ღონისძიებთა პაკეტი შეიმუშავა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი კომპონენტები: დასაქმება და ინვესტიციები – იაფი სესხის კომპონენტი, სოფლის აღორძინება – პროგრამა სოფლის მექანიზაცია, 100 ახალი სოფლის მეურნეობის საწარმო, სოფლის ექიმების აღჭურვა ინვესტირით, რეგიონული ტურიზმისა და ხალხური რეწვის განვითარება, პენსიები, სოციალური დახმარება, განათლება – 100 ახალი სააქადემიო, საპენსიო რეფორმა, დენილი მოსახლეობის შემწეობები და აშ.

ამ კომპონენტებმა წინა წლებისაგან განსხვავებით არსებითად შეცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის ორიენტაცია და იგი იმ ინტერესებზე აიგო, რომელიც გააჩნია სამოქალაქო საზოგადოებას, დარიბ მოსახლეობას, მეწარმეებს, პენსიონერებს და შესაბამისად, იგი

გენდერულადაც მგრძობიარე ვახდა. თუმცა, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე მსხვილ და სწრაფად მზარდ კომპონენტს კვლავ თავდაცვაზე გაწეული ხარჯები შეადგენდა (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4

თავდაცვაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები 2002-2009 წლებში



ამასთან, საქართველოს თავდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი, რუსეთთან წლების განმავლობაში დაბაბული პოლიტიკური ურთიერთობების შედეგად, ყველაზე მაღალი აღმოჩნდა მსოფლიოში (იხ. ცხრილი 7). ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ Social Watch-ის შეფასებით, ბოლო წლებში საქართველოში მდგომარეობა გაუარესდა სოციალური უთანასწორობის შემცირების თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფო ფინანსების გამოყენებაში ადგილი ჰქონდა რეგრესულ ტენდენციას. მიუხედავად განათლების სფეროში მცირე პროგრესისა, ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო დანახარჯების სტაგნაციისა და სამხედრო დანახარჯების ზრდის შედეგად გენდერული თანასწორობის მარცხენა 2004-2007 წლებში შემცირდა 3.67 პუნქტით და საქართველო აღმოჩნდა 65 ადგილზე მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის.<sup>102</sup>

ცხრილი 7

სამხედრო ხარჯების წილი მშპ-ში: საერთაშორისო შედარებები

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
აშშ-ში	3.6	3.1	2.7	2.7	2.7	2.9	2.8	3.0
საქართველო	2.3	2.3	2.2	2.4	2.6	2.3	3.4	3.0
ბელარუსი	1.3	1.4	1.4	1.3	1.4	1.5	1.7	1.6
საქართველო	0.6	0.7	1.0	1.1	1.4	3.3	5.2	7.5
კანადა	0.8	1.0	1.0	1.0	1.0	1.0	1.0	1.2
საფრანგეთი	2.9	2.3	2.7	2.9	2.8	3.1	3.2	3.5

102 <http://www.socialwatch.org/en/advance/recessos/112/G/docs/GI12007.doc>; [http://www.socialwatch.org/en/inform/impreso/pdf/publicexpenditure2007\\_eng.pdf](http://www.socialwatch.org/en/inform/impreso/pdf/publicexpenditure2007_eng.pdf)


მთლიანი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.5	0.4
რუსეთი	3.7	4.1	4.3	4.3	3.8	3.7	3.6	3.6
უკრაინა	3.6	2.9	2.8	2.8	2.6	2.8	2.8	2.9
ესტონეთი	1.4	1.5	1.7	1.7	1.7	1.6	1.6	1.9
ლატვია	0.9	1.0	1.6	1.7	1.7	1.7	1.8	1.8
ლიტვა	1.4	1.3	1.4	1.4	1.4	1.2	1.2	1.2
გერმანია	1.5	1.5	1.5	1.4	1.4	1.4	1.3	1.3
აშშ	3.7	3.7	3.5	3.0	2.4	2.1	2.2	2.1
აშშ	3.1	3.1	3.4	3.8	4.0	4.1	4.0	4.2
მსოფლიო	2.3	2.3	2.4	2.5	2.5	2.3	2.3	2.3

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები, <http://ddp-ext.worldbank.org/ext/DDPQZ/showReport.do?method=showReport>

ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები უპირატესად მამაკაცების დასაქმების ისეთ სფეროებში, როგორცაა თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება და სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსი, აღემატებოდა დანახარჯებს განათლებასა, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცემაში ერთად აღებული. სახელმწიფო დაფინანსება ბოლო 5 წლის განმავლობაში აბსოლუტურ მარევენობებში მამაკაცების დასაქმების სფეროებში უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ქალების დასაქმების სფეროებში, მხოლოდ 2008 წლის ბიუჯეტში ისინი მცირედით დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ამდენად, საქართველოში გენდერული დისპროპორცია სახელმწიფო ფინანსების განაწილებაში კვლავ ღრმა დარჩა. (იხ. გრაფიკი 5).

გრაფიკი 5


სახელმწიფო ხარჯები: ნილი მთლიან ხარჯებში (პროცენტობით)



2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაუვლენით სერიოზული კორექტივები შეიგანა სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში. უაქტობრივად, პრიორიტეტიული ხასიათი მიიღო სოციალურმა სარჩებმა (იხ. გრაფიკი 6), რაც განპირობებული იყო როგორც რუსეთთან ომით და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად ეკონომიკური აქტიუობის შემცირებით, ეკონომიკური ზრდის გეშპების დაკუმით, უმუშევრობის ზრდითა და სოციალური ფონის გაუარესებით, ასევე სახელმწიფოს იმედად დარჩენილი ადამიანების რიცხოვნობის ზრდით. ამის შედეგად, თუ 2008 წელს 400 ათასი ადამიანი იყო სახელმწიფო სოციალური დახმარების ბენეფიციარი, 2009 წელს ბენეფიციართა რაოდენობა გათვალისწინებულია გაიზარდოს 900 ათას ადამიანამდე.

გრაფიკი 6

გენდერულად მგრძობიარე სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში



ესადა, რომ მომავალში, თუ საქართველოს ფინანსური პოლიტიკა რეალურად მიმართული იქნება სიღარიბის დაძლევისაკენ, საჭირო იქნება პასიური სოციალური პოლიტიკის პარალელურად განხორციელდეს აქტიური დასაქმების პოლიტიკაც, რომელიც გათვლილი იქნება არა მოკლევადიან ამოცანებზე, არამედ გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებზე. დასაქმების პროგრამების ფარგლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რეგულირების ისეთი მექანიზმების განხორციელება, რომელიც ადამიანებს გრძელვადიანი დასაქმების საშუალებას მისცემს. ამასთან დაკავშირებით კი იბალება კითხვა, თუ კონკრეტული ფინანსური საშუალებები გეგმა როგორ იქნება ასახული ამ პრობლემის გადაჭრაში; რითი მოხდება უპირატესად მამაკაცების დასაქმებაზე სახელმწიფო დანახარჯების კომპენსირება ქალებისათვის; რომელი სოციალური ფენების (ბიზნეს-სამყაროს, პოლიტიკური ელიტის, სახელმწიფო ბიუროკრატის, ღარიბი და სხვ.), ასევე გენდერული თვალთახედვით, ვის ინტერესებს ემსახურება სახელმწიფოს ფინანსური ღონისძიებები და სხვა.

სოციალურ განვითარებას აქვს გენდერული შინაარსი. ქალები თავის თავზე იღებენ და გრადიციულად დაკისრებული აქვთ ზრუნვის ეკონომიკის განხორციელება. ასეთი ეკონომიკა გულისხმობს ოჯახის, ბავშვების, მოხუცებულთა მოვლა-პატრონობას. ამიტომ სახელმწიფო პროგრამების, ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესება, განათლების სრულყოფა და ხელფასის გაზრდა, რომელიც ქალებს ეხება, არის მისასალმებელი. სხვანაირად ქალები და ბავშვები ვერ იქნებიან სახელმწიფო პოლიტიკის პირდაპირი



სამიზნეები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არა მარტო შინამეურნეობებში და მრუნვის ეკონომიკაში ქალთა შრომის აღიარება, არამედ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალის რეპროდუქციული და ეკონომიკური საქმიანობების სათანადო შეხამებას, სათანადოდ ანაზღაურებად და უსაფრთხო სამუშაოს უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისითაც, სოციალური უთანასწორობის შემცირების ასპექტში გენდერული მიზნების განხორციელებას ემსახურება, მაგრამ რამდენად პრიორიტეტულია იგი, ამის შეფასება იმ ფორმატში, რომელიც ბიუჯეტის კანონშია მოცემული, შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის (აგრეთვე მუნიციპალური ბიუჯეტების) ფორმატის დახვეწა სოციალური თანასწორობის მიმართულებით; ბიუჯეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში სახელმწიფო (მუნიციპალურ) სექტორში დასაქმებული ქალისა და მამაკაცის რაოდენობის მითითებითა და ბიუჯეტის ფუნქციონალურ სტრუქტურაში კი მოსალოდნელი სოციალური შედეგების ასახვის გზით.

სახელმწიფო ხარჯების ზემოქმედება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე განსხვავებულია და ის, თუ იგი რამდენად ნაწილდება ღარიბი ფენების სასარგებლოდ და ოჯახების განვითარების ხელშეწყობად, აუცილებელი პირობაა სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად. სამოქალაქო სამოგადოებისა და მთავრობის ერთიანი ხედვა გენდერული თანასწორობის საკითხებში აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილებაში გენდერული სხვაობის აღმოსაფხვრელად.

### მსოფლიოს ფინანსური ინსტიტუტების გენდერული ხედვა

ბოლო წლებში გენდერული პრობლემები მსოფლიოს ფინანსური ინსტიტუტების ყურადღების არეალში მოექცა. გენდერული უთანასწორობა განიხილება, როგორც ქვეყნის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც აუერხებს ეკონომიკურ აღმაშენებლობას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების წინაშე.

2006 წლის მაისში მსოფლიო ბანკმა გენდერული მოქმედებათა გეგმა მიიღო, სადაც მოცემულია მსოფლიო ბანკის გენდერული სტრატეგია სოციალურ-ეკონომიკური ვალდებულებების რეალიზაციაში. გენდერული ასპექტების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების პროცესებში. გენდერული თანასწორობის მიღწევა ბანკის სტრატეგიული საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მინიშნულია როგორც სოციალური უსაერთოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ინდიკატორი.

მსოფლიო ბანკის გენდერულ მოქმედებათა გეგმის - "ენდერ ქვალ-იტი ას მმარგ ეკონომიკს,, (პირობითი თარგმანი - "გენდერული თანასწორობა გონივრულ ეკონომიკაში") ლეიტმოტივი: ქალებმა უნდა დაიკაონ ღირსეული ადგილი მსოფლიოს ეკონომიკაში.<sup>103</sup> მსოფლიო ბანკის გენდერული ჯგუფი თელის, რომ პოსტგრანზიტულ ქვეყნებში თავდაპირველად აუცილებელია გენდერული ინდიკატორების შემუშავება, რათა გაიზომოს ფინანსური რესურსების გამოყენების შესაძლებლობები და რეალური უკუგება ორივე სქესისათვის.

103 Gender Equality as Smart Economics: A World Bank Group Gender Action Plan (fiscal years 2007-10) September, 2006 Available at [www.worldbank.org/INT/gender/Resources/GIAPNov2.pdf](http://www.worldbank.org/INT/gender/Resources/GIAPNov2.pdf)

## 7.2. გენდერული ბიუჯეტის ფორმირების საერთაშორისო გამოცდილება

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მსოფლიოს მთელ რივ ქვეყნებში გაიზარდა ინტერესი გენდერული ბიუჯეტის მიმართ<sup>104</sup> და ინტენსიურად დაიწყო ბიუჯეტის მედგენა-განხორციელებაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება.<sup>105</sup>

გენდერული ბიუჯეტი გახდა ასალი მიდგომა სოციალური თანასწორობის დასამყარებლად. ამჟამად მსოფლიოს დაახლოებით 60-ზე მეტ ქვეყანაში არის დანერგილი გენდერული ბიუჯეტი.<sup>106</sup>

ავსტრალია. ავსტრალია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ასეთი ბიუჯეტის დანერგვა. ადრე მას უწოდებდნენ "ქალის ბიუჯეტს", სადაც მოცემული იყო იმის მეფასება, თუ ქალს რა სარგებლობა ჰქონდა ბიუჯეტისაგან. ასეთი მაჩვენებლები მოიცავდა თითოეული სამინისტროს საქმიანობას.

1980-იანი წლების ქალთა ავსტრალიური ბიუჯეტი მოიცავდა 300 გვერდს. ეს ბიუჯეტი განიხილებოდა როგორც თვითნაირი საბიუჯეტო დოკუმენტი. გენდერული ბიუჯეტს ახასიათებდა სამი თავისებურება: 1. ქალებისათვის დანახარჯის განსაზღვრა, ანუ იმ პროგრამების ღირებულების განსაზღვრა, რომელიც უპირატესად ქალებისათვის იყო გამოყოფილი; 2. სახელმწიფო სექტორში დასაქმებისათვის თანასწორი პირობების შექმნა, რომელიც გულისხმობდა როგორც თანაბარი რაოდენობის ქალისა და კაცის შეწყვერულ თანამდებობებზე დასაქმებას, ასევე მათ ხელფასებში სხვაობის შექმნილებას; 3. იმ ხარჯების განსაზღვრას, რომელსაც ხელისუფლება გამოიყენებდა იმისათვის, რომ მომავალში მოეხდინა გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის სრულყოფა.

ავსტრალიის გამოცდილება შემდგომში გამოყენებული იქნა სხვა ქვეყნების მიერ გენდერული ბიუჯეტის დანერგვისას. ჯერ ინგლისმა და შემდგომ კი აფრიკულმა და ამიურმა ქვეყნებმა დაიწყეს გენდერული ბიუჯეტის შექმნა. ასეთი ბიუჯეტი გახდა ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი იარაღი. ამასთან, გენდერული ბიუჯეტის თვისებებმა – გრანსფარენტულობამ, მოქნილობამ, მედამხედელობამ მთაერობის საქმიანობაზე, შესაძლებელი გახდა ასეთი მიდგომები გამოყენებული ყოფილიყო განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც, სადაც მოქალაქეებს მიეცათ საშუალება მიეღოთ ადექვატური და სრული ინფორმაცია. მოგვიანებით ევროპის ქვეყნებიც დაინტერესდნენ ასეთი ბიუჯეტის შექმნით.

ამჟამად ავსტრალიის მთაერობა ახორციელებს მრავალ რეკომენდაციას, ყოველწლიურად იბეჭდება "ქალის ბიუჯეტი". დღემდე მთაერობა დაინტერესებულია ამ სფეროთი.

ევროპა და ევროკავშირის ქვეყნები. ევროკავშირის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მიზნობრივი გენდერული მიდგომა, გენდერული პერსპექტივის დაგეგმვა ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, ასევე დაგეგმილ მოქმედებათა პროცესის მეფასება. გენდერულ პროექტებს ახასიათებს დიდი მრავალფეროვნება და კვლევისას გამოყენებულია მრავალფეროვანი ხერხები და ინსტრუმენტები. ამ საქმიანობაში ჩართულია უნიანსთა სამინისტროს წარმომადგენ-

104 Judd Karon (ed.), (2002). Gender Budget Initiatives. Strategies, Concepts and Experiences, new York: UNIFEM.

105 საერთაშორისო გახიყედების დახმავების გალიყენებული შვილკა ნაშრომები: Гендерные Бюджеты. Подходы к их реализации. (2005). Приоритетная программа ООН. Авторский текст: Дебра Джексон. 1 пер. с Англ. Москва, Издательство, стр. 27-41; Stonsky J., G. (2006). Gender Budgeting. IMF Working Paper, WP/06/232, p.24-30; Budlender D., Review of gender budget initiatives. Community Agency for Social Enquiry. Available at: <http://www.international-budget.org/resources/library/GenderBudget.pdf>; Budlender D., Elson D., Hewitt G., Mukhopadhyay T. (2001). Gender Budgets Make Cents. Understanding gender responsive budgets. Available at: <http://www.lib.utah.edu/ereserve/crms/annual/ECON/Knowledge/Benk/cents.pdf>.

106 გენდერული ბიუჯეტი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: "სახალი ბიუჯეტი", "კოილდეობის ბიუჯეტი", "საოცადური ბიუჯეტი" და იგი ხორციელდება მრავალ ქვეყნის საზოგადოებო პოლიტიკაში

ლებიც.

ევროკავშირის ქვეყნებში უინანსური პოლიტიკასა და ბიუჯეტის შედგენაში გენდერული მენსტრამინტი დაინერგა ამსტერდამის ხელშეკრულებით და სტრატეგიით კენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ (1997 წელი).<sup>107</sup>

2001-2005 წლებში ევროკავშირის ყველა წევრი შეუერთდა ქალების წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციას (CEDAW) და აიღო ვალდებულება მისი განხორციელების შესახებ. ამასთან, ევროკავშირმა გამოსცა რეკომენდაციები, რომელიც მოუწოდებდა მთავრობებს შეექმნა ბალანსირებული პოლიტიკა ქალისა და კაცის თანასწორობის მისაღწევად.

2001 წლის ოქტომბერში ბრიუსელში ჩატარდა კონფერენცია გენდერული ბიუჯეტის შემეფობით ეკონომიკური და უინანსური მართვის სრულყოფის შესახებ.<sup>108</sup> ამ კონფერენციის საბოლოო რეზოლუცია მოუწოდებდა ევროკავშირის ქვეყნებს შეექმნათ თანაბარი უფლებები ქალისა და კაცისათვის, საჯარო გაეხადათ და გაემართათ სახელმწიფო უინანსების გამჭვირვალობა. ამასთან, გენდერული ბიუჯეტის როლი სახელმწიფო უინანსების უეფექტიანობის გაზრდაში იყო ხაზგასმული. ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა დასაქმების ბარიერების განსაზღვრა, მეწარმეობის განვითარება და მიკროკრედიტების ხელმისაწვდომობა.

ინგლისში გენდერული ბიუჯეტი სამოქალაქო სამოგადოების ინიციატივას დაემყარა. ქალთა ბიუჯეტის ჯგუფი ჩამოყალიბდა 1989 წელს. ეს ჯგუფი ორიენტირებული იყო ბიუჯეტის შემოსაღლების მუხლებზე და აქცენტი აკეთებდა ვადასახადებსა და სახელმწიფო დახმარებებზე და არა დანახარჯებზე. ისინი აყენებდნენ ქალთა ეკონომიკური დახმარების პროგრამების გაზრდის მოთხოვნას, რაც აეგომატურად შეამცირებდა ბაუმეთა სიღარიბეს. თუმცა ხშირად მათ პროექტებს უპირისპირდებოდა ოჯახში ქალებისა და მამაკაცების ტრადიციული როლის შესახებ პოლიტიკოსების წარმოდგენები, რაც გულისხმობდა იმას, რომ ფული, რომელიც ოჯახში შედის, მის წევრებს შორის ნაწილდება მიზნობრივად მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი მიმღები, ამიტომ სახელმწიფო დახმარების გაცემისას არ უნდა პქონოდა მნიშვნელობა იმას, თუ ოჯახის რომელი წევრი იხდიდა ვადასახადს და ვის სჭირდებოდა ეს დახმარება. შემდგომში ეს წარმოდგენა იქნა დამღეული და დახმარება მიეცა პირდაპირ ქალს, ეინაიდან ქალებისათვის გადახდილი ფული უფრო მიზნობრივად მოხმარდებოდა ოჯახს. სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით 2003 წლიდან ბაუმეთა დახმარებები გაიყემოდა უშუალო მზრუნველზე (ეს უკანასკნელი კი უმეტეს შემთხვევაში ქალია) და არა ოჯახის ძირითად დონორზე (უმეტესად მამაკაცზე).

ერთ-ერთი პროექტი წარმატებული გამოდგა იმის შესახებ, რომ განთავისუფლდა ვადასახადისაგან ორი მომუშავე მშობლიდან ერთი. მანამდე კი მუღლვე, რომელიც გამოიმუშაებდა ნაკლებს, მომუშაიანად არ თელიდა დაქირაუებით მუშაობას.

ავსტრიაში 2001 წელს შეიქმნა ორგანიზაცია "ქალი და ბიუჯეტი", რომელმაც დაიწყო ქვეყანაში გენდერული მიდგომების პროპაგანდა. უინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში: "ავსტრიის სავადასახადო სისტემა ნამღელიად არის თუ არა გენდერულად ნეიტრალური?". რითაც ავსტრიელებისათვის გახდა ცნობილი, რომ დაბევერისას შეღავათებით უფრო მეტად სარგებლობენ მამაკაცები, ვიდრე ქალები. ავსტრიაში ამეამად სახელმწიფო უინანსების ანალიზი ხდება გენდერული თელსამრისით, მთავარი ორიენტირი აღებულია ფისკალურ პოლიტიკაზე. უინანსთა სამინისტროში იყენებენ კელეეთი ცენტრების გამოკელეევბს.

ნიდერლანდებში დაინერგა საპილოგო პროექტები და განხორციელდა სპეციფიკური გენდერული პრობლემების დაფინანსება. დამუშავედა ბიუჯეტის შეფასების სისტემა გენდერული პერსპექტივიდან, კერძოდ, თუ რა სახსრები იხარჯებოდა ქალთა ემანსიპაცი-

107 <http://www3.europa.eu.int/omk/omk:apir.so/>.

108 <http://www.dgdc.be>.

ისტვის და რა ფინანსები იხარჯებოდა კონკრეტულად ქალებისა და მამაკაცებისათვის. 2000 წლის იანვარში მთვრობამ შექმნა უწყებათაშორისი დეპარტამენტი, რომელსაც ყველა ძირითად გენდერულ გენდერული პერსპექტივიდან გააანალიზებდა. დეპარტამენტს ჰქონდა ორი სამუშაო ჯგუფი და რამდენიმე დირექტორი. ერთი ჯგუფი საბიუჯეტო დანახარჯებს განიხილავდა ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების პერსპექტივიდან. 2001 წლებში ჯგუფმა საპილოტო კვლევა ჩაატარა, რათა გამოერკვია ცალკეულ უწყებათა დანახარჯების მართლმომიერება თანაბარი შესაძლებლობების ასპექტით. ეს პროექტი განხორციელდა ფინანსთა, სოციალური ურთიერთობებისა და დასაქმების და გარემოს დაცვის, ურბანიზაციის სამინისტროებში. ამ კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ სამინისტროებში გაწეული ხარჯები ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნისთვის უწყებათა ბიუჯეტების 0,01-0,06 %-ს წარმოადგენდა.

შვედეთში გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებულია ხანგრძლივადიან პროგრამაში. საპილოტო სფეროებია სოციალური პოლიტიკა, რეგიონალური განვითარება და გრანსპორტი. ამასთან, ხელისუფლებამ აღიარა, რომ ქალთა დასაქმება ჩამორჩება მამაკაცთა დასაქმებას და სამეწარმეო საქმიანობაში ისინი არიან შეზღუდულნი, ამიტომ მან შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალების სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ამ პროგრამის თანახმად, ყოველწლიურად ხორციელდება ხელფასების შეფასება და შეასაბამისი თანამდებობის ქალისა და კაცის ხელფასების ერთმანეთთან შედარება. მეწარმეები ვალდებული იყვნენ სამი წლის განმავლობაში გამოეწოდებინათ მდგომარეობა.

საფრანგეთში 2000 წლიდან ხდება ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. მათ თავიანთ "Yellow Report"-ში გაანალიზეს ყველა დეპარტამენტისა და სამინისტროს სარჯები გენდერული ასპექტით. არსებობს ერთიანი სახელმწიფო პროგრამა ქალების მეწარმეობის განვითარების შესახებ.

გერმანიაში გენდერული ბიუჯეტი იხერგება ქ. ბერლინში. ადგილობრივი ხელისუფლება ქმნის გრძელვადიან საფინანსო სტრატეგიას. გენდერული ბიუჯეტი ხორციელდება 2006 წლიდან. ამ მიზნით თავდაპირველად შეიქმნა მონაცემთა ბაზა და გაანალიზდა პროექტების ეფექტიანობა, ხოლო შემდეგ კი გამოიყო ფინანსური სახსრები, რომელიც თავისი ბუნებით არის დაცული მუხლი. ამაში ჩართულია ყველა დეპარტამენტი და შესაბამისი პროფილის კვლევის ცენტრები.

ბელგიაში სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი გარდება აკადემიურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით. საწყის ეტაპზე ხდება კვლევის ინსტრუმენტების ამორჩევა, შემდეგ კი აკადემიური მეკვლევარები რეგულარულად ხელობიან სამინისტროს წარმომადგენლებს გასაცნობად და სთავაზობენ რეკომენდაციებს. მოგლანდიაში 2000 წელს შემუშავდა "თანასწორობის მიღწევის გეგმა". ამ გეგმაში განხილული იყო ის მეთოდებიც, რომლითაც შეფასდებოდა ბიუჯეტის გავლენა თანასწორობის პრინციპებზე.

## საერთაშორისო გამოცდილების პოლიტიკომოცია

გენდერული ბიუჯეტის შექმნაში სხვადასხვა ქვეყნის ძალისხმევა განსხვავებული იყო და მათ სხვადასხვა გზით განახორციელეს მისი დანერგვა. ქვეყნების უმრავლესობამ გენდერული ბიუჯეტის დანერგვა დაიწყო თავისი მეთოდოლოგიით, მიზნებისა და მიდგომების აღაპირებით. ასეთი ინიციატივა წარმოიშვა სამოქალაქო საზოგადოებიდან, პარლამენტებიდან, ან მთავრობიდან. მათი მიზანი იყო არა დამატებითი თანხების გამოყოფა ქალებისათვის, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაში სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გრადიციების ხელშეწყობა და კარგი მმართველობის დანერგვა.

მოგიერთ ქვეყანაში გენდერული ბიუჯეტი დაკავშირებული იქნა პოლიტიკურ მოძ-

რაობასთან და ძალაუფლების ცელილებასთან (მოგლანდია). სხეაგან ინიციატორები იყენენ ან მთაერობა ღონორი ქვეყნების ხელშეწყობით, ან სამოქალაქო საზოგადოება, ან კიდევ პარლამენტი. შეეცარიაში გენდერული ბიუჯეტის ინიციატორები გახდნენ პროექტები და ქალთა ორგანიზაციები, ხოლო ნორვეგიაში მთაერობამ ყველა სამინისტროს საშუალოეადიან პროგრამაში დანერგვა გენდერული მიდგომა. იგი აისახა ყოველწლიური ბიუჯეტის დანართში.

ადრეულ სტადიაზე სხეადასხეა ქვეყანაში გენდერული ინიციატივა იყო შეზღუდული ანალიტიკური კვლევით და რეკომენდირებული იყო ერთი ან ორი პოლიტიკის სფეროს არსეა და მისი გენდერული შეუასება. ანალიზის შედეგები კი წარმოადგენილი იყო ორი მიმართულებით: როგორც ცალკე ბიუჯეტი, როგორცაა ქალის ბიუჯეტი, როგორც ეს იყო აესტრალიაში. ან კიდევ როგორც ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, რასაც მაგალითად, საფრანგეთში უწოდებენ " ელლოჟ პაჟე". მოვიერთმა ქვეყანამ უპირატესობა მიანიჭა ქალებისათვის ხარჯების გამოყოფის ანლიზს, ხოლო სხეებმა კი გენდერული ბიუჯეტის ანალიზს. ირლანდიაში სოციალური თანასწორობის ანალიზი შევიდა ეროვნული განვითარების გეგმაში.

ყოველი ქვეყანა, რომელიც იწყებდა გენდერული ბიუჯეტის დანერგვას, აწყდებოდა მეთოდოლოგიური ხასიათის წინააღმდეგობებს. ძირითადი გმა, რომელსაც ადგნენ ქვეყნები, იყო ის, რომ გენდერული კვლევების განხორციელების გზით მოხდინათ გენდერული ინდიკატორების ინტეგრაცია ბიუჯეტის დაცემის, განხილვის, განხორციელებისა და მონიტორინგის სტადიებზე.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება მეტყველებს, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული ინიციატივა ხორციელდებოდეს კვლევების გზით, სადაც სამოქალაქო საზოგადოება იღებს მონაწილეობას, ხოლო მთაერობა კი გამოთქეამს მზადყოფნას დანერგვის ასეთი კვლევის შედეგები. ამასთან, არასამთაერობო ორგანიზაციების და საზოგადოების წევრების ტრენინგები მნიშვნელოვანი ელემენტი იყო იმისათვის, რომ შემოქმედება მოხდინათ სახელმწიფო უინანსებზე. ამის შედეგად ხდებოდა გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ფორმირება. ასეთი ბიუჯეტი არსებითად არასამთაერობო ორგანიზაციების, კვლევითი ცენტრების, მას-მედიის და იმ სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლობის ერთობლივი შედეგი იყო, რომლებიც აყალიბებდნენ და ანხორციელებდნენ პოლიტიკას.

ქვეყნების უმრავლესობა იყენებდა არასამთაერობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების დახმარებას. მაგალითად, დანიაში 2002-2006 წლების ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობდნენ ექსპერტები. ინგლისში ქალების ჯგუფი რეკულარულად აფასებდა უინანსთა სამინისტროს სტრატეგიას. სამინისტროების წარმომადგენელთა ტრენინგები და კონფერენციები ხელს უწყობდა გენდერული პროექტების დანერგვას. ასევე ხდებოდა პოპულარული და სექციალური ბეჭდვითი ნაშრომების გამოქვეყნება და პარლამენტარებთან პირდაპირი კონტაქტი.

და ბოლოს, არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი, რომელიც გამოადგება ყველა ქვეყანას გენდერული ბიუჯეტის დასანერგად, რადგან განსხვავებულია ქვეყნებში ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობა და განსხვავებულია მათი ეკონომიკა, ხოლო სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები ემსახურება სხეადასხეა მიზანს. ყოველი ქვეყანა თავისი გამოცდილებით უნდა მიდიოდეს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის დანერგვის აუცილებლობაზე სოციალური თანასწორობის დაზარების გზაზე.

## ბოლო სიტყვაობა

გენდერული საკითხების აღიარება არ არის ბიუჯეტის სექციალური თემა და სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების პროექტებში არც არის ყურადღება გამახვილებული ამ საკითხებზე. ადამიანური კაპიტალის (რესურსების) განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის ეუქტიანი დაგეგმვისათვის გენდერულად მგრძობიანი ბიუჯეტის შემუშავება არის საკვანძო საკითხი. ბიუჯეტებში აისახება მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის ცანობიერებაც აუცილებელია გენდერულ ასპექტში. თუმცა არის რამდენიმე პოზიცია, რომელიც შეიძლება გასდეს მსჯელობის საგანი. საერთოდ, კი მთავარია პოლიტიკური ნება, რომ გენდერული ბიუჯეტის დანერგვა განხორციელდეს როგორც სამთავრობო დონეზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება მთავრობასთან ერთად უნდა ინაწილებდეს პასუხისმგებლობას ბიუჯეტის ეუქტიანებას და მონიგორინგზე, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში.

უინანსური პოლიტიკის ზოგიერთი გენდერული არეალი შეიძლება შემდეგნაირად განესაზღვროთ:

1. ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება. მაგალითად, იმის ვარკევა, თუ რამდენად საყოველთაო ვახდება ინფრასტრუქტურა, რამდენად მოიცავს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განაწილება საქართველოში ღარიბ რეგიონებსა და სოფლებს? რამდენად მიაღწეეს ღარიბ რეგიონებამდე და სოფლებამდე ინფრასტრუქტურაში წარმოებული მომსახურება. ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია ქალებისათვის ენერგეტიკის წარმოება-მომხმარების სფეროში.<sup>109</sup> ცნობილია, რომ ენერგორესურსების დეფიციტი ქალებზე უფრო ნეგატიურად მოქმედებს, ვიდრე მამაკაცებზე, რაც უახლოესი წარსულის მაგალითებიდან წარმოჩნდა საქართველოში, ენერგოპოლიტიკის წარმართვას მომხმარებელთა ინტერესების დაყვის გათვალისწინებით, ქალთა ჩაბმის ენერგოსექტორის შენეგემენტის ყველა დონეზე (რაც დღეისათვის საქართველოში ნაკლებად ხდება) დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეტიც, მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ განახლებადი ენერგორესურსების ინიციატივების წახალისება გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას უწყობს ხელს, რადგან განახლებად ენერგორესურსებზე ხელმოსაწელობა ამსუბუქებს ქალის შრომას, შესაბამისად მათ მეტი დრო რჩებათ პროფესიული განვითარებისა და დასვენებისთვის.<sup>110</sup>
2. უინანსური პოლიტიკის გენდერული ორიენგაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ქალებმა მამაკაცის თანბარება მიიღონ დაწინაურების შესაძლებლობა. ბიუჯეტი უნდა იძლეოდეს პასუხს, თუ რამდენად გაიზარდა სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორში ქალების სამუშაოზე დასაქმების არეალი. 2005-2008 წლებში საქართველოს სამი სამინისტროს სამუშაო სამგაგო რიცხოვნება გეიჩვენებს, რომ განსაკუთრებით გაღრმავდა ვერტიკალური სეგრეგაცია.<sup>111</sup>
3. სიღარიბის დაძლევაში მსოფლიო დიდ ყურადღებას უთმობს მიკროკრედიტების განვითარებას. რა ვაკეთა ხელისუფლებამ იმისათვის, რომ მიკროკრედიტები ყოფილიყო ხელმისაწვდომი ღარიბი ფენებისათვის, მათ შორის ქალებისთვისაც. ეს ძალიან მტკივნეული თემაა გენდერული თვალსაზრისით. სამწარმეო განვითარების ერთ-ერთ მემაფერებელ ფაქტორად ითვლება კრედიტების მოპოვება ქალებისათვის. მათთვის შედარებით ხელმისაწვდომია მცირე მოცულობის სესხები, მაგრამ დიდი რაოდენობის სესხი, რომელიც მოითხოვს სავარანგოდ საკუთრების უფლების მტკიცებულებას, მამაკაცებისათვის უფრო არის მისაღწევი.

<sup>109</sup> ურბანული ინსტიტუტის მიერ 2004 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად ქალთა ყველაზე მწკვივე პრობლემად დასახელდა უფასო მიკროსალობა, კონსულტაციები, წახალისება და მცირე პრობლემები კი დრო უწყობა. უფრო მეტი და უწყობა. საქართველოში მწკვივე პრობლემებს შორის პირველი იყო მისივე ფსიქოლოგიკური მდგომარეობაში ყოფნა. (იხ. ქალთა პრობლემები და საქართველო ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მიმართებათა ობ., 2004 გვ.10).

<sup>110</sup> Klaus, J., Oparaocha, Sh Root, U. (2004). Gender Equality and Renewable Energy, Thematic Background Paper, Conference Materials. Bonn; სახელმწიფო, ო. დერვლიმული. ნ. ავსტრი და ენერგეტიკა: საქართველოს მთავრობის კორინფერენციათა. ობ., გვ. 34.

<sup>111</sup> ქალი და მამაკაცი, (2008). ობ., გვ. 54-55

4. სოციალური პოლიტიკის სფეროში ფინანსური პოლიტიკის ეფექტიანობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებს, რომელიც მიმართულია ბავშვებზე და ქალებზე, რა წილი უკავიათ სახელმწიფო ხარჯებში, რამდენად ქმედითი არიან ისინი სოციალური პრობლემების გაუმჯობესებაში, რამდენად მოიცვა მან ყველა სოციალურად დაუცველი ბავშვი და რა ეფექტი მოახდინა შინამეურნეობებზე. ამასთან, რამდენად გაიზარდა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ინფლაციის გათვალისწინებით და სოციალური დახმარების სისტემა საშუალებას აძლევს თუ არა ოჯახებს თავი დააღწიონ უკიდურესად გაჭირებულ მდგომარეობას? მნიშვნელოვანია იზრდება თუ არა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლების, სარეაბილიტაციო ცენტრების, დამხმარე სანატორიული და სპეციალიზირებული საბავშვო სკოლა-ინტერნატების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება.
5. სამოგადოებას აინტერესებს სიღარიბის პროგრამის მონიტორინგი, ის, თუ როგორ ნაწილდება მონეტარული დახმარებები ღარიბებში და რამდენად არის ამ სფეროში კორუფცია აღმოფხვრილი ადგილებზე. რამდენად შეიცვლება უმუშევართა დახმარება. როგორ მოხდება მათი მონიტორინგი. ცნობილია, რომ ეს სფეროები ადრე კორუფციის წყარო იყო.
6. იმის გამო, რომ როგორც შემოთ ადღინმეთ, წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტში დანახარჯები ძირითადად ორიენტირებული იყო მამაკაცების დასაქმების სფეროების ზრდაზე, შესაბამისად, იზადება კითხვა, თუ რამდენად გაიზარდა მემოსაელები იმ ადამიანებისა, რომელიც მრუნიის ეკონომიკაში არიან დასაქმებულნი? ამ მიმართულებით ფინანსური პოლიტიკის ანალიზი აუცილებელია, იმისათვის, რომ სიღარიბის პროგრამა დეკლარირებული სტრატეგია არ გახდეს და რაციონალური ბალანსი არსებობდეს სოციალურ სფეროსა და სახელმწიფო დაფინანსების სხვა სფეროებს შორის.
7. სამოგადოებას აინტერესებს, თუ რამდენად ეფექტიანად იმუშაებს განათლებასა და შეცნიერებაში დაფინანსების ახალი სისტემა. განათლების ადგილობრივი ხარჯების გადაკისრება ცენტრალური ხელისულებისათვის რამდენად რაციონალურია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, სადაც განათლების სფეროს ძირითადად ქალები კურირებენ, როგორ წარმართება შეცნიერების რეფორმა და რამდენად შეუწყობს იგი ხელს გენდერული ბალანსის შენარჩუნებას დასაქმების ამ სფეროში.
8. არსებითი საკითხია თუ რა ადგილს დაიკაიებს ქალი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებში და რამდენად ქმედითი გახდება მისი მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში? ამ მიზნით იქნება თუ არა სახელმწიფოს ხელშეწყობა შესაბამისი კადრების მომზადების საკითხში? რამდენად თანასწორად გადანაწილდება სახელმწიფო გრანტები საქართველოს რეგიონებში, რამდენად იქნება გრანტსფერების განაწილების ახალ სისტემაში გათვალისწინებული სიღარიბის რეგიონალური სხვაობა.
9. საქართველოს ინფორმაციული ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით ცვლილებები არის გათვალისწინებული სტატისტიკის დეპარტამენტის საქმიანობაში. გენდერულად დეგალიზებული მონაცემები ფინანსური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების წინაპირობაა. გენდერულად დანაწევრებული მონაცემები არის საჭირო იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ როგორ ნაწილდება სოციალური დახმარებები, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. საჭიროა ახალი ინდიკატორების შემუშავება.
10. სამოქალაქო სამოგადოებას აინტერესებს, თუ რას მიიღებენ ისინი ბიუჯეტიდან. მათ უნდა იცოდნენ რეალობა. ამიტომ მთავრობის ანგარიშში მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. გენდერული ბიუჯეტი კი ამის შესაძლებლობას ნამდვილად აძლევს.

## დანართი<sup>12</sup>

